პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 მარტი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 66 (14366)



ბუდაპეშტი, 1969 წ. 17 მარტი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ხელს აწერს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიმართვას ევროპის ყველა ქვეყნისადმი. საქდესი. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებისა ევროპის ყველა ქვეყნისადმი

**ბულგარეთის** სახალხო რესპუბლიკა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა — ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოები — პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილენი, გამოხატავენ რა თავიანთი ხალხების მისწრაფებას იცხოვრონ მშვიდობით და კეთილმეზობლობით ევროპის დანარჩენ ხალხებთან, აგრეთვე თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას ხელი შეუწყონ ჩვენს კონტინენტზე უშიშროებისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს დამყარების საქმეს, მიმართავენ ევროპის ყველა სახელმწიფოს და მოუწოდებენ გაამრავლონ ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისაკენ მიმართული ღონისძიებანი.

ევროპის ხალხთა აწმყო და მომავალი განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენს კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებასთან. ნამდვილი უშიშროება და საიმედო მშვიდობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას თუ ევროპის სახელმწიფოები თავიანთ ზრახვებს, საქმიანობასა და ენერგიას მოახმარენ იმ მიზნებს, რომ შეანელონ დაძაბულობა, რეალობათა გათვალისწინებით გადაჭრან მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები, მოაგვარონ ყოველმხრივი თანამშრომლობა საერთო-ევროპულ საფუძველზე.

კეთილმეზობლობის, ნდობისა და ურთიერთგაგების დამყარება დამოკიდებულია ევროპის ყველა ქვეყნის ხალხთა და მთავრობათა ნებასა და მეცადინეობაზე. თანამედროვე ევროპა, როგორც იგი გამოვიდა მეორე მსოფლიო ომიდან, —ეს არის ოცდაათზე მეტი სახელმწიფო, დიდი და პატარა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი საზოგადოებრივი წყობილებით, ადგილმდებარეობით, ინტერესებით. მაგრამ ისტორიის ნებით მათი ხვედრია იცხოვრონ ერთმანეთის გვერდით. და ამ ფაქტს ვერავინ ვერ შეცვლის.

სულ უფრო მეტი მთავრობანი, პარლამენტები, პარტიები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი იმსჭვალებიან იმ შეგნებით, რომ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე იმისათვის, რომ არ დაუშვან ევროპაში ახალი სამხედრო კონფლიქტი. მაგრამ ევროპაში კვლავ მოქმედებენ აგრეთვე ძალები, რომლებიც ევროპის განვითარების აქტივს აკუთვნებენ არა სადავო საკითხების მოგვარებასა და მშვიდობიან შეთანხმებებს, არამედ დამატებითს დივიზიებსა და რაკეტებს, ახალ სამხედრო პროგრამებს, რომლებიც გათვალისწინებულია მომავალი ათწლეულებისათვის. მათთან ერთად მოქმედებენ ისინიც, ვისაც ჯეროვანი გაკვეთილები ვერ გამოუტანია მეორე მსოფლიო ომის შედეგებიდან, რომლის დროსაც განადგურებულ იქნა გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი. მათი ხრიკები დაძაბულობის წყაროა, გართულებებს ქმნის საერთაშორისო ურთიერთობაში.

თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ კვლავაც აკეთონ ყველაფერი, რაც კი მათზეა დამოკიდებული, რათა დაიცვან ევროპა ახალი სამხედრო კონფლიქტების საფრთხისაგან, გზა გაუხსნან თანამშრომლობის განვითარებას ევროპის ყველა ქვეყანას შორის, განურჩევლად საზოგადოებრივი წყობილებისა, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე.

რარიგ რთულიც უნდა იყოს ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები, მათი გადაჭრა მიღწეულ უნდა იქნას მშვიდობიანი საშუალებებით მოლაპარაკების გზით და არა ძალის გამოყენებით ან ძალის გამოყენების მუქარით.

ანალიზს უკეთებენ რა ევროპის ვითარებას, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ არის რეალური შესაძლებლობანი საერთო ღონისძიებებით უზრუნველყონ ევროპის უშიშროება, ევროპის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით.

თითქმის სამი წლის წინათ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა ბუქარესტში წამოაყენეს წინადადება, რომ მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი ევროპის უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის საკითხების განსახილველად. მას შემდეგ კონტაქტებმა ცხადყო, რომ ევროპის არც ერთი მთავრობა არ გამოსულა სრულიად ევროპის თათბირის წინააღმდეგ და რომ არის რეალური შესაძლებლობანი მისი გამართვისათვის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის სახელმწიფოები არც ერთხელ არ შეკრებილან ყველანი ერთად, თუმცა არის მრავალი საკითხი, რომლებიც ელის განხილვას მოლაპარაკების გზით. თუ გავითვალისწინებთ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს, არ არის რაიმე საფუძვლიანი მიზეზი გადავდოთ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა.

ასეთი თათბირი ევროპის ყველა სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი იქნებოდა. იგი შესაძლებლობას მოგვცემდა ერთად მოგვენახა გზები და საშუალებანი იმისათვის, რომ აღმოგვეფხვრა ევროპის გათიშვა სამხედრო დაჯგუფებებად და განგვეხორციელებინა ევროპის სახელმწიფოთა და ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობა.

მაგრამ მსოფლიოში არიან ძალები, რომლებიც, ცდილობენ რა დაამკვიდრონ ჩვენი კონტინენტის გათიშულობა, ახორციელებენ რა დაძაბულობის გაღვივების პოლიტიკას, უარს ამბობენ რა სახელმწიფოთა და ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის მოგვარებაზე, გამოდიან ასეთი თათბირის მოწვევის წინააღმდეგ და ევროპის უშიშროების განმტკიცების სხვა ღონისძიებათა წინააღმდეგ.

ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოები დარწმუნებული არიან, რომ საერთოევროპული თანამშრომლობის განვითარება იყო და რჩება ერთადერთი რეალური ალტერნატივა საშიში სამხედრო დაპირისპირებისა, გამალებული შეიარაღებისა, განხეთქილებებისა, რასაც კვლავ თავს ახვევენ ევროპას აგრესიული ძალები, რომლებიც ესწრაფვიან იმას, რომ გააცამტვერონ მეორე მსოფლიო ომის შედეგები და გადააკეთონ ევროპის რუკა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები ადასტურებენ თავიანთ წინადადებებს, რომლებიც მიმართულია მსოფლიოს სამხედრო ბლოკებად დაყოფის, გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ და იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელიც ამას მოსდევს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის, და სხვა ღონისძიებებსა და დებულებებს, რომლებსაც შეიცავს ბუქარესტში 1966 წელს მიღებული დეკლარაცია ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების შესახებ.

ევროპის ხალხებისათვის საარსებო მოთხოვნილებაა თავიდან აიცილონ ახალი სამხედრო კონფლიქტები, განამტკიცონ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობა ყველა სახელმწიფოს შორის თანასწორუფლებიანობის, სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე. ევროპის უშიშროების მტკიცე სისტემა ქმნის ობიექტურ შესაძლებლობასა და საჭიროებას ერთობლივი ღონისძიებებით განვახორციელოთ დიდი პროექტები ენერგეტიკის, ტრანსპორტის, წყალთა და საჰაერო აუზის, ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს მთელი კონტინენტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. სწორედ ეს საერთო საქმე შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს ევროპის თანამშრომლობის საძირკველი.

ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარია ევროპაში ამჟამად არსებული საზღვრების. მათ შორის ოდერ-ნეისეს საზღვრების, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის საზღვრების შეუვალობა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის ფაქტის აღიარება და ის, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ხელი აიღოს მთელი გერმანელი ხალხის წარმომადგენლობის პრეტენზიაზე, აღარ მოითხოვდეს ატომური იარაღის დაუფლებას რაიმე ფორმით. დასავლეთ ბერლინს განსაკუთრებული სტატუსი აქვს და დასავლეთ გერმანიას არ ეკუთვნის.

პრაქტიკული ნაბიჯი ევროპის უშიშროების განმტკიცების მიმართულებით იქნებოდა ის, რომ რაც შეიძლება მალე მოეწყოს ევროპის ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეხვედრა, რათა ურთიერთშეთანხმებით დაადგინონ როგორც თათბირის მოწვევის, ისე მისი დღის წესრიგის საკითხთა განსაზღვრის წესი. ჩვენ მზადა ვართ განვიხილოთ ამავე დროს ყოველი სხვა წინადადება ამ თათბირის მომზადებისა და მოწვევის წესის შესახებ.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მონაწილე სახელმწიფოები ევროპის ყველა ქვეყანას მიმართავენ მოწოდებით ითანამშრომლონ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევასა და საჭირო წანამძღვრების შექმნაში იმისათვის, რომ ამ თათბირს წარმატება ექნეს და გაამართლოს იმედები, რომლებსაც ხალხები მას უკავშირებენ.

რათა განხორციელდეს ეს დიდმნიშვნელოვანი მოქმედება, რომელიც ისტორიული მომენტი იქნებოდა კონტინენტის ცხოვრებაში, თათბირის მონაწილე სახელმწიფოები მთელი მსოფლიოს გასაგონად მოუწოდებენ ევროპის ყველა ქვეყანას განამტკიცონ ნდობის ვითარება და ამ მიზნით თავი შეიკავონ ყოველი მოქმედებისაგან, რომელიც მოწამლავდა ატმოსფეროს სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ისინი მოუწოდებენ ყველა ქვეყანას ზოგადი განცხადებებიდან მშვიდობის შესახებ გადავიდნენ კონკრეტულ მოქმედებასა და ღონისძიებებზე დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და მშვიდობის განვითარებისათვის. ისინი მოუწოდებენ ევროპის ყველა მთავრობას გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებან, რათა ევროპა გახდეს თანასწორუფლებიან ერთა ნაყოფიერი თანამშრომლობის კონტინენტი, სტაბილურობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და ურთიერთგაგების ფაქტორი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით

**ტოდორ ჟივკოვი**

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით

**იანოშ კადარი**

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

**ენე ფოკი**

უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით

**ვალტერ ულბრიხტი**

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

**ვილი შტოფი**

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით

**ვლადისლავ გომულკა**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

**იუზეფ ცირანკევიჩი**

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით

**ნიკოლაე ჩაუშესკუ**

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

**იონ გეორგე მაურერი**

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით

**ლ. ი. ბრეჟნევი**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი

**ა. ნ. კოსიგინი**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით

**ლუდვიკ სვობოდა**

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი

**ალექსანდრე დუბჩეკი**

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

**ოლდრჟიხ ჩერნიკი**

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარე

ბუდაპეშტი, 1969 წლის 17 მარტი.

# კ ო მ უ ნ ი კ ე

## ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირისა

**1969 წლის 17** მარტს ბუდაპეშტში მიმდინარეობდა ვარშავის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

თათბირში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან— **ტოდორ ჟივკოვი**, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; **ჟივკო ჟივკოვი**, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; **ივანე ბაშევი**, საგარეო საქმეთა მინისტრი; **ატანას სემერჯიევი**, სახალხო თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე; **ვასილ ბოგდანოვი**, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — **იანოშ კადარი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; **ენე ფოკი**, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე; **ზოლტან კომოჩინი**, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; გენერალ-პოლკოვნიკი **ლაიოშ ცინგე**, თავდაცვის მინისტრი; **ფრიდიეშ პუია**, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან—**ვალტერ ულბრიხტი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; **ვილი შტოფი**, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; **ერიხ ჰონეკერი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ჰერმან აქსენი**, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ოტო ვინცერი**, საგარეო საქმეთა მინისტრი; გენერალ-პოლკოვნიკი **ჰაინც კესლერი**, ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — **ვლადისლავ გომულკა**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; **იუზეფ ცირანკევიჩი**, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; **ზენონ კლიშკო**, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **სტეფან ენდრიხოვსკი**, საგარეო საქმეთა მინისტრი; ჯავშნის გენერალი **ვოიცეხ იარუზელსკი**, ეროვნული თავდაცვის მინისტრი; **ადამ კრუჩკოვსკი**, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; გენერალ-მაიორი **ბოლესლავ ხოხა**, ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალური შტაბის უფროსი.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — **ნიკოლაე ჩაუშესკუ**, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, დელეგაციის მეთაური; **იონ გეორგე მაურერი**, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; **კორნელიუ მენესკუ**, საგარეო საქმეთა მინისტრი; გენერალ-პოლკოვნიკი **იონ იონიცე**, შეიარაღებული ძალების მინისტრი;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — **ლ. ი. ბრეჟნევი**, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, დელეგაციის მეთაური; **ა. ნ. კოსიგინი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, **კ. თ. კატუშევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ა. ა. გრომიკო**, საგარეო საქმეთა მინისტრი; საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო**, თავდაცვის მინისტრი; **კ. ვ. რუსაკოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — **ალექსანდრე დუბჩეკი**, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის მეთაური; **ლუდვიკ სვობოდა**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი; **ოლდრჟიხ ჩერნიკი**, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის თავმჯდომარე; **იან მარკო**, საგარეო საქმეთა მინისტრი; გენერალ-პოლკოვნიკი **მარტინ ძური**, ეროვნული თავდაცვის მინისტრი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი **ი. ი. იაკუბოვსკი**.

პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა მოისმინა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოხსენება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც თავდაცვის მინისტრებმა შეიმუშავეს შესაბამის მთავრობათა მოწონებით. თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა დაწვრილებით განიხილეს და ერთსულოვნად დაამტკიცეს დებულებანი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თავდაცვის მინისტრების კომიტეტის შესახებ, ახალი დებულება გაერთიანებული შეიარაღებულ ძალებისა და გაერთიანებული სარდლობის შესახებ და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავენ ვარშავის ხელშეკრულების თავდაცვითი ორგანიზაციის მართვის სტრუქტურისა და ორგანოების შემდგომ სრულყოფას.

გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს დაევალა დადგენილი წესით უზრუნველყოს მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელება.

თათბირის მონაწილეებმა მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ მოწონებული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური ქვეყნების თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებას სოციალიზმის საქმის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საქმის ინტერესებისათვის.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც კვლავ ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა შეანელონ დაძაბულობა და განამტკიცონ მშვიდობა, ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ევროპის ყველა ქვეყნისადმი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხზე, სრულიად ევროპის თათბირის მომზადებისა და მოწყობის შესახებ.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი მიმდინარეობდა ძმური მეგობრობისა და ამხანაგური თანამშრომლობის სულისკვეთებით.

## ღირსშესანიშნავი წლისთავი

**17 მარტს** მოსკოვში გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შეთანხმების 20 წლისთავს. კრების მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიურ თანამშრომლებს სსრ კავშირში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებულის კან ჩერ გინის მეთაურობით.

საბჭოთა და კორეელი ხალხების მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, მშვიდობის საქმისათვის მათ ერთობლივ ბრძოლაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა. (საკდესი).

ს ა კ დ ე ს ი ს ც ნ ო ბ ა

## მიფრინავს «კოსმოსი-272»

**1969 წლის** 17 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-272". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

## სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიაში

**17 მარტს** მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის იუნესკოს საქმეთა კომისიის მორიგი სხდომა. იგი მიმდინარეობდა კომისიის ხელმძღვანელის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვ. მ. ვინოგრადოვის თავმჯდომარეობით.

კომისიის წევრებმა განიხილეს იუნესკოს მიმდინარე წლის მეორე კვარტალის ღონისძიებებში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გეგმა. განიხილეს აგრეთვე პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მზადებასთან საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმისათვის „ვ. ი. ლენინი და მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარების საკითხები". ამ სიმპოზიუმის მოწყობა განზრახულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მომავალი წლის აპრილში ფინეთში.

(საკდესი).

# ჩინელი პროვოკატორები სამარცხვინო ბოძზე

## საქართველოს მშრომელთა გულისწყრომა და აღშფოთება

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში გრძელდება მიტინგები, რომლებზეც მშრომელები გულისწყრომით გმობენ პეკინის ხროვის პროვოკაციულ მოქმედებას საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე.

მიტინგების მონაწილენი იღებენ რეზოლუციებს, რომლებშიც ერთსულოვნად აკრავენ სამარცხვინო ბოძზე ჩინელ პროვოკატორებს და აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, აღუთქვამენ კომუნისტურ პარტიას, რომ ყოველნაირად განამტკიცებენ ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას.

პეკინის ხროვის ბრძანებით ძველთაძველ საბჭოთა ტერიტორიას — დამანსკის კუნძულს მდინარე უსურიზე კვლავ უტევენ მაოისტები, — განაცხადა თბილისის სატვირთო სადგურში გამართულ მიტინგზე მტვირთავმა მ. სიხარულიძემ,— სირცხვილი პროვოკატორებს!

თავიანთ ამხანაგს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ვაგონების მიმბმელმა, ა. ბელენკომ, ოსტატმა ო. კუსიკაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც სავსებით მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, საბჭოთა მთავრობის ნოტა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისადმი.

**ამიერკავკასიის** წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები გულისწყრომით გმობენ მაოსა და მისი ხელქვეითების საზიზღარ ბოროტმოქმედებას.

— აღვირახსნილი პეკინელი ავანტიურისტები. — თქვა თბილისის გარნიზონის ნ-ის ნაწილის მიტინგზე რიგითმა ჯარისკაცმა ა. გარბუზმა, — რომლებიც ატყუებენ თავიანთ ხალხს, ცილს სწამებენ ჩვენს პარტიას, საბჭოთა სახელმწიფოს, იქამდე მივიდნენ, რომ შეიარაღებული პროვოკაცია მოაწყვეს ჩვენს საზღვარზე. ჩვენი თანატოლი მეომრების სისხლი მოგვიწოდებს მუდამ ფხიზლად და საბრძოლოდ გამზადებული ვიყოთ.

საბჭოთა საზღვრები შეუვალია. დაე იცოდნენ პროვოკატორებმა, რომ ჩვენ მზად ვართ ყოველ მომენტში გამანადგურებელი პასუხი გავცეთ სოციალისტური სამშობლოს წმიდათა წმიდა საზღვრების დამრღვევთ.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს წერილი შორეული აღმოსავლეთის მესაზღვრეებისადმი. ჩვენ, ნათქვამია წერილში, აღტაცებული ვართ თქვენი გმირობით, სიმტკიცით, მამაცობით. თქვენთან ერთად დიდად ვწუხვართ საბჭოთა სამშობლოს ერთგული შვილების დაღუპვას. უსურის ნაპირებზე დაღვრილ მესაზღვრე მეომართა სისხლს არ დავივიწყებთ. დაე ახსოვდეთ აგრესიულ ავანტიურათა მოყვარულთ, რომ პეკინელ ხელისუფალთა პოლიტიკა გარდაუვალად ჩაიფუშება. ჩინეთის ხელისუფალთა შეიარაღებული ავანტიურების პასუხად ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ სიფხიზლეს და საბრძოლო მზადყოფნას.

ქუთაისი. ინდუსტრიული ქუთაისი გმობს აღვირახსნილ პეკინელ პროვოკატორებს. ქარხნებში, ფაბრიკებში, კვლავ იმართება ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები, რომლებზეც მშრომელები გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას დაიცვან სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრების შეუვალობა.

— ჩინეთის მმართველთა თავხედური ტერიტორიული პრეტენზიები, მათი საზიზღარი მოქმედება ბოლომდე ამხილებს მაოისტებს როგორც სოციალიზმის მტრებს, — განაცხადა ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივის მიტინგზე ხარატმა გ. სანაძემ. — მაგრამ დაე ახსოვდეთ მათ: ჩვენ მზად ვართ საკადრისი პასუხი გავცეთ ყოველ პროვოკატორს.

— არ შეიძლება აღტაცებას არ იწვევდეს ჩვენი მესაზღვრეების გმირობა, — განაცხადა კონსტრუქტორმა ო. მოლჩანოვამ. — ჩვენ ისევე მამაცურად მოვიქცევით, როგორც ისინი მოიქცნენ. ვიშრომებთ უფრო შეუპოვრად, რათა განვამტკიცოთ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება. (საქდესი).

# მესაზღვრეთა მრისხანე სიტყვა

**ჩრდილო-დასავლეთი სასაზღვრო ოლქი**, 18 მარტი. (საქდესის კორ.). ჩინელ ავანტიურისტთა ახალი დანაშაულის ამბავმა, რომლებმაც დაარღვიეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი, ჩვენი სამშობლოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების დამცველი მეომრების მრისხანება და გულისწყრომა გამოიწვია. საგუშაგოებზე, საბრძოლო ხომალდებსა და ოლქის ნაწილებში მიმდინარეობს საპროტესტო მიტინგები.

— კვლავ დაიღვარა ჩვენი მებრძოლი ამხანაგების სისხლი, რომლებიც შორეული აღმოსავლეთის საზღვრებს იცავენ, — თქვა მიტინგზე ნ-ის სასაზღვრო ნაწილის რიგითმა ჯარისკაცმა ი. ფედოროვმა. — ამაში გათავხედებული პეკინელი ავანტიურისტები არიან დამნაშავენი, მაგრამ ისინი მთლიანად ზღავენ პასუხს ამისათვის.

— თავიანთი ბილწი მოქმედებით მაოისტებმა ერთხელ კიდევ ამხილეს თავი მსოფლიოს წინაშე, როგორც თავისი ხალხისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოღალატეებმა, — ხაზგასმით აღნიშნა თავის სიტყვაში ოფიცერმა ა. კორჩაგინმა. — პეკინელი პროვოკატორები თავიდან ვერ აიცილებენ პასუხისმგებლობას!

მიღებულ რეზოლუციაში მესაზღვრე მეომრები გულისწყრომით გმობენ ჩინეთის ხელისუფალთა ახალ პროვოკაციას, ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის განცხადებას.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### პროფესორ ხ. ბ. შალამბერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**ხანგრძლივი** და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი ხარიტონ ბებუთის-ძე **შალამბერიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1969 წლის 18 მარტი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### პროფესორ შ. პ. ლომინაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**ხანგრძლივი** და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი შალვა პავლეს-ძე **ლომინაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1969 წლის 18 მარტი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. პ. ბ. მიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

**სოფლის** მეურნეობის სპეციალისტების მომზადების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის საყრდენ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი ამხ. პოლიკარპე ბეკოს-ძე **მიქაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1969 წლის 18 მარტი.

# საერთაშორისო ცხოვრება

# მეგობრობის ატმოსფეროში

## მსოფლიოს პრესა ბუდაპეშტის თათბირის შესახებ

**ვარშავა**, 18 მარტი (საქდესი). დღევანდელი პოლონური გაზეთების ყურადღების ცენტრშია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირის შედეგები.

გაზეთები აქვეყნებენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიმართვას ევროპის ყველა ქვეყნისადმი და თათბირის კომუნიკეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ თათბირმა მიიღო გადაწყვეტილებანი ვარშავის ხელშეკრულების თავდაცვითი ორგანიზაციის სტრუქტურისა და მართვის ორგანოების შემდგომი სრულყოფისათვს.

„ტრიბუნა ლუდუ" ხაზს უსვამს, რომ ბუდაპეშტის თათბირზე სუფევდა მეგობრობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო.

**ბერლინი**, 18 მარტი (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იმ სახელმწიფოს საზოგადოებრიობა, რომელიც თანამიმდევრულად იბრძვის ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, დიდ ყურადღებას უთმობს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შედეგებს.

ეს თათბირი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყურადღების ცენტრშია.

გაზეთები „ნოიეს დოიჩლანდ", „ბერლინერ ცაიტუნგი", „ტრიბუნე" და „იუნგე ველტი" დღეს პირველ გვერდზე დიდი სათაურებით აქვეყნებენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თათბირის კომუნიკესა და ევროპის ყველა ქვეყნისადმი მიმართვის სრულ ტექსტებს.

„მოძმე ქვეყნები თათბირობენ ბუდაპეშტში", „დიდმნიშვნელოვანი შეხვედრა" — ასეთი სათაურებით დაბეჭდეს ანგარიშები ბუდაპეშტის თათბირის შესახებ გაზეთებმა „ნაციონალ ცაიტუნგმა", „დერ მორგენმა" „ბაუერნ-ექომ", „ნოიე ცაიტმა" და სხვ.

**ბუქარესტი**. 18 მარტი. (საქდესი). ყველა გაზეთი პირველ გვერდზე დიდი სათაურებით აქვეყნებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის კომუნიკესა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მიმართვას ევროპის ყველა სახელმწიფოსადმი.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირის დოკუმენტები გადასცა აგრეთვე ბუქარესტის რადიომ.

**დასავლეთი ბერლინი**, 18 მარტი (საქდესი). ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირი დასავლეთ გერმანიის პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთი „დი ვარჰაიტი" პირველ გვერდზე ბეჭდავს ცნობას ბუდაპეშტის თათბირის შესახებ მახვილი სათაურით: „ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა მოწოდება: უშიშროება ევროპის ყველა სახელმწიფოს კონფერენციის საშუალებით". გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ უნგრეთის დედაქალაქში გამართულმა თათბირმა მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო გამოხმაურება პოვა.

ბუდაპეშტის თათბირის შესახებ ცნობას გაზეთი „ტელეგრაფი" ბეჭდავს სათაურით: „ვარშავის პაქტის სახელმწიფოები მხარს უჭერენ ევროპის მშვიდობიან კონფერენციას". როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამ ქვეყნებმა მოუწოდეს კონტინენტის სახელმწიფოებს „ერთობლივი მეცადინეობის გზით, განურჩევლად საზოგადოებრივი წყობილებისა თითოეულ ცალკეულ ქვეყანაში, შექმნან ევროპის უშიშროების სისტემა.

# ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ფრონტის ცკ-ის სხდომა

**პრაღა**, 17 მარტი. (საქდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა პრაღაში გამართა კრება ფაშისტური გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის 30 წლისთავის გამო.

კრებას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის წევრები ფედერალური მთავრობის თავმჯდომარის ო. ჩერნიკის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ერბანმა. მან აღნიშნა, რომ 1945 წელს ნაციზმის დამარცხების მიუხედავად, მისი ფესვები დარჩა დასავლეთ გერმანიაში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, თქვა მომხსენებელმა, სულ უფრო მეტია გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის ძველი ძალების აღორძინების ნიშნები. კარგად ვიცით, რომ გერმანელ მილიტარისტებს წაგებული ომის შემდეგაც ჩვენ ეროვნულ მტრად მივაჩნივართ, ხოლო 1948 წელს თებერვლის შემდეგ კლასობრივ მტრადაც გვთვლიან. ბევრი ფაქტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოგვაგონებს ნაცისტური აგრესიის იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მომზადების დროს.

კრებაზე მიღებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ არაერთგზის მოწოდების მიუხედავად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა უარს ამბობს იმთავითვე ბათილად ცნოს მიუნხენის დიქტატი და მიუნხენის შეთანხმებანი. ამასთან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წლითიწლობით აქტიურდებიან რევანშიზმის ძალები, რომლებიც კვლავ გამოდიან ევროპის პოლიტიკურ ასპარეზზე.

შეგნებული გვაქვს ნათქვამია განცხადებაში, რომ სწორედ სოციალისტურ თანამეგობრობაში ჩვენი ადგილის მეოხებით გვაქვს ძალა, რათა დავიცვათ როგორც ჩვენი სამშობლო, ისე ჩვენი სოციალისტური ეკონომიკაც.

# ახალი პროვოკაციები

**ნიუ-იორკი**, 18 მარტი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იორდანიის მუდმივმა წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მის ყურადღებას მიაპყრობს იორდანიის მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებზე დაზავებისა და ცეცხლის შეწყვეტის პირობების მიუხედავად ისრაელის თავდასხმების ახალ ფაქტებს.

წერილში ნათქვამია, რომ 15 მარტს ისრაელის ოთხი რეაქტიული ავიაგამანადგურებელი 15 წუთის მანძილზე ბომბებს, რაკეტებსა და ტყვიამფრქვევის ცეცხლს უშენდა სოფლებს, შუნას, ვაგაზსა და ზამალიახს. ამის შედეგად დაიხოცა ორი და დაიჭრა ცხრა კაცი. მოსპობილია ორი სატვირთო ავტომობილი, დაზიანდა ცხრა ავტომობილი და ტრაქტორი. ზარალი მოუვიდა ფერმერთა სამეურნეო ნაგებობებს.

16 მარტს დილის 6 საათზე ადგილობრივი დროით ისრაელის რეაქტიული თვითმფრინავები ბომბებსა და ცეცხლს უშენდნენ სხვადასხვა დასახლებულ პუნქტს იორდანიის ტერიტორიის სიღრმეში. ისრაელთა თვითმფრინავები რამდენიმე საათს ბომბავდნენ ამანიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონებს და მის გარეუბნებს ჯარაშსა და შუბეკს. ამ თავდასხმების შედეგად დაიხოცა სამი მოქალაქე და შვიდი კაცი დაიჭრა, ერთ-ერთი მათგანი სერიოზულად. მოსპობილია ხუთი ავტომობილი და საცხოვრებელი სახლი. როგორც წერილში აღნიშნული, იორდანიის ფერმებსა და სოფლებზე უკანასკნელი თავდასხმების დროს ისრაელებმა კვლავ გამოიყენეს ნაპალმის ბომბები.

# სენატორის განცხადება

**ვაშინგტონი**, 18 მარტი. (საქდესი). დემოკრატმა სენატორმა ჯორჯ მაკგოვერნმა დაგმო შეერთებული შტატების მთავრობის სავიეტნამო პოლიტიკა.

ჯ. მაკგოვერნმა გუშინ სენატში გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავის სავიეტნამო პოლიტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია „ისეთსავე ტრაგიკულ კურსს ადგას ისეთივე ტრაგიკული შედეგებით", როგორსაც წინა მთავრობა. სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ კვლავ სამხედრო მოსაზრებანია მთავარი რესპუბლიკური ადმინისტრაციის მიდგომაში ვიეტნამის პრობლემისადმი. მაკგოვერნმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ბოლო დროს გახშირდა პენტაგონის ბაქია განცხადებანი ვითომდა „სამხედრო წარმატებების" შესახებ სამხრეთ ვიეტნამში, თქვა, რომ „ვიეტნამის ომის ყოველგვარ განგრძობაში ეროვნული ტრაგედიის თესლია".

სენატორმა მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გამოიყვანოს ამერიკის ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობს პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკების წარმატებას.

# საომარი მოქმედება ნიგერიაში

**ლაგოსი**, 17 მარტი. (საქდესი). ნიგერიის ფედერალური მთავრობის ჯარები განაგრძობენ ბრძოლებს ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში სეპარატისტთა ნაწილების წინააღმდეგ, რათა აღადგინონ ნიგერიის ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა.

ფრონტიდან მიღებული ცნობებით თუ ვიმსჯელებთ, ფედერალურმა ჯარებმა გასულ კვირაში გაათავისუფლეს ქალაქი უხუდიოკა, რომელიც მდებარეობს სეპარატისტთა წინააღმდეგობის ძირითადი ცენტრისაკენ — ქალაქ უმუახიასაკენ მიმავალ გზაზე. სეპარატისტებმა სცადეს დაებრუნებინათ უხუდიოკა, მაგრამ დიდი ზარალი ნახეს და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

ცნობებში ნათქვამია, რომ ონიტშის სექტორში აღინიშნება ძლიერი საარტილერიო სროლა ქალაქ აბაგანთან. გასული კვირის დამლევს სეპარატისტთა ცალკეულმა ნაწილებმა შეძლეს შეჭრილიყვნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ შტატში. მაგრამ ფედერალური ჯარების მტკიცე მოქმედების შედეგად ამ სექტორში მდგომარეობა აღდგენილია და ახლა ამ რაიონს „კონტროლს უწევენ ფედერალური ჯარები".

მძიმე ბრძოლები გრძელდება ოვერის რაიონში.

## ფოტოკალეიდოსკოპი

# სიკვდილი რეკლამის გულისათვის



**ვენაში** მოწყობილ გამოფენაზე „საერთაშორისო ავიოფოსტა" რეკლამის გულისათვის გაუშვეს სამი საჰაერო ბურთი, რომელთა გონდოლებშიც მოყვარული სპორტსმენები ისხდნენ. სპეციალისტთა აზრით ეს იყო სახიფათო გაფრენები, რადგან ისინი ეწყობოდა 250 მეტრი სიმაღლის ე. წ. „დუნაის კოშკის" მახლობლად.

ორგანიზატორთა აზრით გამოფენისათვის გრანდიოზული რეკლამა უნდა გაეწია მეოთხე გაფრენას. ამისათვის მათ საკმაოდ სოლიდური თანხა გადაუხადეს ცნობილ ამერიკელ სპორტსმენ-ავიატორს 47 წლის ფრენსის შილდს. მისი თანამგზავრები იყვნენ დეპეშათა სააგენტოს „აუსტრია პრესსე აგენტურის" ახალგაზრდა თანამშრომელი დიტერ ვოლფ კასპარა (მას დაწვრილებით უნდა აეწერა მთელი გაფრენა) და ავსტრიის საფოსტო უწყების წარმომადგენელი დოქტორი გიუნტერ პამერი.

და აი მაყურებელთა თვალწინ მფრინავი საჰაერო ბურთი დაეჯახა „დუნაის კოშკს". გაზით სავსე ბალონი გასკდა და გონდოლა 156 მეტრის სიმაღლიდან ქვასავით დაეშვა ძირს. საშველად მოსულმა სანიტრებმა სასწრაფო დახმარების მანქანებით მხოლოდ დასახიჩრებული გვამები წაიღეს.

ფოტო „ბუნტე ილუსტრირტე" ახალი ამბების სააგენტო.

## თოვლიანი კილიმანჯარო

**ტანზანია**. სურათზე მარჯვნივ — აფრიკის ყველაზე მაღალი მთის კილიმანჯაროს (5.895 მეტრი) თოვლიანი მწვერვალი. ამ მთის ძირში გაშენებულია საკურორტო ცენტრი ქალაქი მოში.

ფოტო ს. კულიკისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).



## მსოფლიო დღეს

### ქრონიკა • პრობლემები

# ლენინის ნაშრომები პოლონურ ენაზე

**ვარშავა**, 18 მარტი. საქდესის კორესპონდენტი ვ. კუზნეცოვი იუწყება:

ვარშავის გამომცემლობა „კსენჟკა ი ვედზა" ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის უშვებს ახალ წიგნებს საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის შესახებ.

წიგნის თაროზე გამოჩნდება პოლონელ ავტორთა ნაწარმოებები „პოლონელთა მოგონებანი ლენინზე", „ლენინიზმი და კულტურა" და სხვები. სახალხო პოლონეთის მკითხველები მიიღებენ აგრეთვე ჩვენი ეპოქის თვალსაჩინო მწერალთა მოგონებების კრებულს „ცოცხალი ლენინი", აგრეთვე „ლენინის მოკლე ბიოგრაფიას".

გამოსაცემად მზადდება ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის 41-ე ტომი. პოლონურ ენაზე ითარგმნება თხზულებათა 42-ე ტომიც. გარდა ამისა, „სოციალისტური ახალგაზრდობის კავშირის აქტივისტის ბიბლიოთეკის" სერიით განახლდება ლენინის ისეთი ნაშრომების გამოცემა, როგორიც არის „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში", „სახელმწიფოს შესახებ", „კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები" და სხვები.

# მეგობართა ხელშეკრულება

**სოფია**, 18 მარტი. (საქდესი). სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პირველმა ხელშეკრულებამ, რომელიც დაიდო 1948 წლის 18 მარტს, განამტკიცა ბულგარეთის სუვერენიტეტი, განაცხადა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კარლო ლუკანოვმა ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში. ხელშეკრულებამ დასაბამი მისცა მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას ბულგარეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რაც სულ უფრო მტკიცდება და ღრმავდება, ხაზგასმით აღნიშნა კ. ლუკანოვმა.

# უიმედო ავანტიურა

**ნიუ-იორკი**, 18 მარტი. (საქდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიისა და პარტიზანთა შეტევა ამერიკის პოლიტიკის დამარცხებათა გრძელი სამხედრო ისტორიის უკანასკნელი სამწუხარო თავია, წერს გაზეთი „ჰერალდ სტარი", რომელიც ქალაქ სტიუბენვილში (ოჰაიოს შტატი) გამოდის.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, არც ერთი ფაქტი არ ადასტურებს მაღალი თანამდებობის ამერიკელ პირთა ხშირ განცხადებებს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი კონტროლს უწევენ სამხრეთ ვიეტნამის ამბებს. სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები სიმტკიცესა და შეუპოვრობას იჩენენ იმიტომ, რომ მშობლიურ მიწაზე იბრძვიან.

რაც გინდათ ის უწოდეთ ვიეტნამის ომს, განაგრძობს გაზეთი: შეცდომა, ჩაფუშული ჯვაროსნული ლაშქრობა, მორალური ტრაგედია, სახსრების უაზრო ხარჯვა თუ ნამდვილი სიგიჟე, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ამ ომის მოგება შეუძლებელია. საღი აზრისა და ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის გადასარჩენად მოდით შევწყვიტოთ ეს ავანტიურა და დავაბრუნოთ ჩვენი ჯარები შინ.

# თათბირი თეთრ სახლში

**ვაშინგტონი**, 18 მარტი. (საქდესი). პრეზიდენტი რ. ნიქსონი გუშინ ერთ საათს ესაუბრებოდა მეცნიერების დარგის საკითხთა მრჩევლების ჯგუფს. როგორც თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა რ. ზიგლერმა აცნობა კორესპონდენტებს, შეხვედრის დროს იხილავდნენ რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის პრობლემებს, აგრეთვე ამერიკის ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის მშენებლობის პროგრამას.

რ. ზიგლერმა აღნიშნა, რომ ნიქსონის მეცნიერ მრჩეველთა ჯგუფის 19 წევრს შორის არ არის მიღწეული „თანხმობა" ამერიკის შეერთებულ შტატებში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის საკითხზე.

შეეხო რა ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის მშენებლობის საკითხს, მან განაცხადა, რომ „უახლოეს მომავალში" მოსალოდნელია მთავრობის გადაწყვეტილება ამ პროგრამის შემდგომი განხორციელების რეკომენდაციების შესახებ.

# შეიქმნა რესპუბლიკის ეროვნული საბჭო

**სანა**, 17 მარტი. (საქდესი). რესპუბლიკური საბჭოს დეკრეტის შესაბამისად აქ შეიქმნა იემენის არაბთა რესპუბლიკის ეროვნული საბჭო, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. მის შემადგენლობაში შედიან ტომთა ბელადები, შეიარაღებული ძალების, მუსლიმური სამღვდელოების, ვაჭრების, ახალგაზრდობის წარმომადგენლები; სულ 45 კაცი.

ეროვნული საბჭო ირჩევს რესპუბლიკური საბჭოს წევრებს, ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ამტკიცებს მის მიერ შედგენილ მინისტრთა კაბინეტს, უცხადებს მას ნდობას ან უნდობლობას. საბჭოს ყველა გადაწყვეტილება მიიღება ხმების უმრავლესობით.

**კაირო**, 17 მარტი. (საქდესი). როგორც მენ-ის სააგენტო სანიდან იტყობინება, რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ აბდურაჰმან ალ-არიანიმ გუშინ გახსნა იემენის არაბთა რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს სხდომა. თავის გამოსვლაში იგი შეეხო იემენის რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობას და ეროვნული საბჭოს წინაშე მდგარ ამოცანებს იმ ხანგრძლივი კონფლიქტის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, რომელმაც ერთმანეთს დაუპირისპირა სხვადასხვა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ.

შემდეგ ალ-არიანიმ ეროვნულ საბჭოს გადასცა განცხადება, რომელშიც მოითხოვს, რომ გაათავისუფლონ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან. თავისი გადაწყვეტილება ჯანმრთელობის მდგომარეობით დაასაბუთა.

## მხოლოდ ფაქტები

# ისრაელის ახალი მთავრობა

**ნიუ-იორკი**, 17 მარტი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იერუსალიმიდან იტყობინება, დღეს ისრაელის პარლამენტმა მოიწონა გოლდა მეირის მიერ შექმნილი მთავრობის შემადგენლობა.

ახალ კაბინეტში თავდაცვის მინისტრის პოსტი კვლავ დაიკავა მოშე დაიანმა, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი — აბა ებანმა.

# კოლონიზატორთა ზარალი

**დარ-ეს-სალამი**, 18 მარტი. (საქდესი). იანვარში ანგოლელმა პატრიოტებმა მოკლეს 80 პორტუგალიელი ჯარისკაცი და 103 დაჭრეს. ეს ნათქვამია ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის პარტიის აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში. მარტო ერთ-ერთ ოპერაციაში, რომელიც 13 იანვარს განხორციელდა ნტენგოხა და ლუპინდეს შორის, დახოცილია პორტუგალიის კოლონიური არმიის 40 ჯარისკაცი. ამავე ბრძოლაში კოლონიზატორებმა დაკარგეს სამი ავტომანქანა.

# გამოსვლები ჩინეთში მაოს ხროვის წინააღმდეგ

**ტოკიო**, (საქდესი). უცხოეთის პრესის ცნობები და ჩინეთიდან აქ ჩამოსულთა ნაამბობი ადასტურებენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, განსაკუთრებით სამხრეთ პროვინციებში, სულ უფრო ხშირია გამოსვლები მაო ძედუნის სამხედრო ბიუროკრატიული დიქტატურის წინააღმდეგ. ცნობილია ფაქტები, როცა სასოწარკვეთილებამდე მისული მუშები და გლეხები თავს ესხმიან „რევკომებს" და მთებში იხიზნებიან.

მაგალითად, იუნანის პროვინციის ქალაქ იაკოუში 2000 კაცი შეიჭრა არმიის ყაზარმებში და ხელთ იგდო იარაღი. ამ პროვინციის მეორე სასაზღვრო რაიონში გამოჩნდა პარტიზანთა რაზმი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფალთა წინააღმდეგ იბრძვის.

წლის დამდეგს გუანდუნის პროვინციაში შეიქმნა ორი ახალი ანტიმაოისტური ორგანიზაცია. ერთ მათგანს „ხსნის ეროვნული კომიტეტი" ეწოდება. კომიტეტში შედიან მუშები, გლეხები და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ის მუშაკები, რომლებიც მაოისტებმა გადააყენეს წინანდელი პოსტებიდან. თავის ფურცლებში კომიტეტი მოუწოდებს მაო ძე-დუნის რეჟიმის დამხობისათვის. სვატოუს რაიონში მაოს პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა დიდი ჯგუფი გაერთიანდა და თავი „მუშათა და გლეხთა დემოკრატიულ პარტიად" გამოაცხადა.

მხილველთა თქმით, გუანდუნის პროვინციაში არის ხოლმე შემთხვევები, როცა მშიერი მოსახლეობა თავს ესხმის სასურსათო საწყობებსა და მაღაზიებს და შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს მოსახლეობას.

ცნობილია ბევრი ფაქტი, როცა ახლანდელი რეჟიმით უკმაყოფილო ცალკეული ჯგუფები ცდილობენ ქვეყნიდან გაქცევას. მაგალითად, 15 მარტს ჩინელთა დიდი ჯგუფი ცდილობდა გადაელახა ჰონკონგის საზღვარი. მესაზღვრეებმა მათ ცეცხლი დაუშინეს, რამდენიმე ლტოლვილი დახოცეს და დაჭრეს. უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, რომ მიმდინარე წლის პირველ თვეებში ჰონკონგსა და მაკაოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან 500-ზე მეტი კაცი გაიქცა.

მაოისტური რეჟიმით უკმაყოფილოთა შორის ბევრია ახალგაზრდობაც, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს იძულებით გადასახლებას სოფლად. ამას წინათ ფუძიანის პროვინციაში ტუნჩანის მახლობლად ამბოხება მოაწყვეს სტუდენტებმა, რომლებიც აქ შრომითი ბანაკში შერეკეს. ისინი მთებში წავიდნენ და პარტიზანებს შეუერთდნენ. ხაინანის კუნძულზე სტუდენტები და კადრის მუშაკები, რომლებიც აქ „ხელახლა აღსაზრდელად" გადმოასახლეს, ამბოხდნენ პეკინის გამოგზავნილი ეგრეთწოდებული „მაოს იდეების პროპაგანდის ჯგუფების" თვითნებობის წინააღმდეგ. მღელვარების ჩასახშობად კუნძულზე ჯარები გაგზავნეს.

მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები ქვეყნის სამხრეთ ნაწილში პეკინის დიდ შეშფოთებას იწვევს. შემთხვევითი არ არის, რომ ჩინეთის რადიოთი და პრესაში სულ უფრო მტკიცედ იმეორებენ მოწოდებებს „რადაც უნდა დაუჯდეთ დაიცვან მაო ძე-დუნი". ეს მოწოდებანი შეხამებულია ახალ მასობრივ რეპრესიებთან ადგილებზე ყველა იმის წინააღმდეგ, ვისზედაც ეჭვი აქვთ, რომ არ ეთანხმება მაო ძე-დუნისა და მისი ხროვის ავანტიურისტულ კურსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე ეხმარებიან

## პროპაგანდისტი — იდეოლოგიური მუშაობის ცენტრალური ფიგურა

ქუთაისი. (საკ. კორ.). „ღრმად შევისწავლოთ ლენინიზმი, დავეუფლოთ ვ. ი. ლენინის პროპაგანდისტულ ხელოვნებას" — ამ დევიზით ჩაიარა პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის პროპაგანდისტთა ორდღიანმა სამეცნიერო-მეთოდურმა კონფერენციამ, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოისმინეს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის გ. ჩხეიძის მოხსენება თემაზე — „პროპაგანდისტთა ამოცანები ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობის დაუფლების საქმეში".

დოცენტმა ნ. ჩიქობავამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა თემას — „პარტიულობა, იდეურობა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა პარტიული პროპაგანდის დამახასიათებელი თვისებაა", ხოლო დოცენტმა ვ. გულუამ — „სიმართლე, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა მარქსისტულ ლენინური პროპაგანდის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნებია". პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგის ბ. ფრუიძის გამოსვლის თემა იყო — „დავეუფლოთ ლენინურ ორატორულ ხელოვნებას".

კონფერენციის მეორე დღე მიეძღვნა სექციურ მუშაობას.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა პროპაგანდისტთა სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინისადმი.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებებით: — „ლენინური თეორიული მემკვიდრეობა" და „ვ. ი. ლენინი რევოლუციური პროპაგანდის დიდი ოსტატი" — გამოვიდნენ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ტ. მოლაშხია და განყოფილების გამგის მოადგილე ა. თოლორაია.

საკითხებზე: — „პარტიულობა და მეცნიერულობა კომუნისტური პროპაგანდის სახელმძღვანელო პრინციპებია" და „იდეურობა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა პარტიული პროპაგანდის დამახასიათებელი თვისებაა" — მოხსენებები წაიკითხეს პოლიტიკური განათლების მეთოდური საბჭოს თავმჯდომარემ ს. ვეკუამ და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქტორმა ა. ბარამიამ.

თემაზე: — „დაწყებით რგოლში ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა შესწავლის თავისებურებანი" ვრცლად ილაპარაკა სექციის ხელმძღვანელმა ი. ჩემინავამ. ვ. ი. ლენინის შრომების დამოუკიდებლად შესწავლის გამოცდილებაზე ისაუბრა პროპაგანდისტმა ი. იზორიამ. თემა — „ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ" გააშუქა ენგურჰესის პარტიული კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ საზოგადოებრივ საწყისებზე ლ. ბარქაიამ. სკკპ ისტორიის სექციის ხელმძღვანელი კ. სახურია პროპაგანდისტებს ესაუბრა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა შესწავლის მეთოდიკაზე დ. მარგველანმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ეყენებს ვ. ი. ლენინის ნაშრომებს თემის — „სოციალიზმის აშენება სსრ კავშირში" — სწავლებაში და სხვ.

ჭიათურა. ამ დღეებში პარტიის საქალაქო კომიტეტში გაიმართა სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს ლექციები: „ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობა", „სიმართლე, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, ქმედითობა, მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა", „იდეურობა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი შეურიგებლობა პარტიული პროპაგანდის დამახასიათებელი თვისებაა". შეკრებილთ ამ საკითხებზე ესაუბრნენ ქალაქკომის ლექტორ-მომხსენებლები ვ. სამხარაძე, შ. ჩაჩანიძე, ალ. შეყილაძე.

კონფერენციაზე მეთოდური ხასიათის მოხსენებები წაიკითხეს პროპაგანდისტებმა ზ. დათეშიძემ — „ლენინის შრომების გამოყენება პოლიტეკონომიის შესწავლისას", კომკავშირის ჭიათურის ქალაქკომის ინსტრუქტორმა უ. გოგსაძემ — „ლენინის მემკვიდრეობის შესწავლა კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელში", პროპაგანდისტმა ვ. გაბრიჭიძემ — „ლენინის უკანასკნელი ნაშრომების შესწავლა პარტიული განათლების ქსელში".

საქალაქო კომიტეტის პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილების გამგემ ს. კობახიძემ ილაპარაკა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის მზადების პერიოდში პროპაგანდისტულ და საგიტაციო-მასობრივ მუშაობაზე, მის ფორმებსა და მეთოდებზე.

ა. მუმლაძე,
გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" ლიტმუშაკი.

რუსთავი. (საკ. კორ). პროპაგანდისტთა სემინარი, რომელიც პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტგანათლების კაბინეტში გაიმართა, მიეძღვნა პოლიტგანათლების სისტემაში ფილოსოფიის შესწავლას.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სწავლების მეთოდიკის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ს. ავალიანი.

ახმეტა. (საკ. კორ.). პროპაგანდისტთა დახელოვნებას ხელს უწყობს პარტიის რაიკომის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარი. ახლახან მორიგ მეცადინეობაზე რეფერატებით გამოვიდნენ პროპაგანდისტები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები. მოსმენილ იქნა ლექცია თემაზე „სოციალიზმი და კომუნიზმი" (ლექტორი ვ. შიომღვდლიშვილი).

— დაიწყო ვარდნილჰეს № 1 კაშხალის მშენებლობა —

# ქართველ ჰიდრომშენებელთა გამარჯვება

ეს იყო თორმეტი დღის წინათ. ვარდნილჰესების სამშენებლო სამმართველოს უფროსის თენგიზ ჩუბინიძის კაბინეტში უთენია შეკრებილიყვნენ ინჟინრები, სამშენებლო უბნების ხელმძღვანელები, ბრიგადირები.

ენგურჰესის მშენებელთათვის ამ თათბირს ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, მდინარე ერისწყლის გადაკეტვის და ვარდნილჰეს-1-ის სამშენებლო გვირაბში მისი გადაგდების ტექნიკურ გეგმას განიხილავდნენ. მას ბრძანების ძალა ჰქონდა. ამიტომ თვითეული თავს ვალდებულად თვლიდა საფუძვლიანად გასცნობოდა გეგმას. ამ მოვლენის მნიშვნელობას ისიც აძლიერებდა, რომ თავისი შინაარსით ეს ორიგინალური ტექნიკური რეკომენდაცია ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ნოდარ ჭარხალაშვილმა პირადად ჩამოიტანა.

ამ დიდი სამუშაოს შესრულების მეთაურად თ. ჩუბინიძე დაინიშნა.

უწინარეს ყოვლისა დაიწყეს მდინარის ნაპირებისაკენ, გვირაბის ჩრდილოეთ მისადგომებისაკენ ტექნიკისა და სამშენებლო მასალების ფართო მოზიდვა.

წარმოების მეთაურების მიერ ყველაფერი აწონილ-დაწონილი და გათვალისწინებული იყო. დიახ, სამუშაოს უნაკლოდ შესრულებისათვის ავრალიც „დაგეგმეს", რომლის დროული ლიკვიდაციისათვის ყოველგვარი საშუალებები და რეზერვებიც გაითვალისწინეს. მოქმედებაში შევიდა სამონტაჟო სამუშაოთა ახალი ზუსტი გრაფიკი.

თორმეტი დღეღამე რჩებოდათ მშენებლებს მდინარე ერისწყლის გადაკეტვის დანიშნულ დრომდე. მათი ანგარიში იმ წუთიდან დაიწყო, როცა სამშენებლო სამმართველოში თათბირის შემდეგ 6 მარტს უბნების მეთაურები ადგილებისაკენ გაემართნენ.

მშენებლობაზე ასეთი სისწრაფე ადამიანების პირადი სურვილით როდი იყო გამოწვეული. აქ თვით დრო ეწევა მშენებლებს, უფრო სწორად, გაზაფხული აჩქარებს მათ. მალე კავკასიონზე თოვლის დნობა დაიწყება, მთის მდინარეები და ღელეები ადიდდებიან, კალაპოტს გადალახავენ, და მაშინ შეუძლებელი გახდება ვარდნილჰეს—№ 1 კაშხალის მშენებლობისა და ქვაბულის სამონტაჟო სამუშაოების დაწყება.

და აი, როგორც გუშინ ვიუწყებოდით, ქართველმა ჰიდრომშენებლებმა კიდევ ერთი სასახელო გამარჯვება მოიპოვეს. წარმატებით გადააგდეს რა მდინარე ერისწყალი სამშენებლო გვირაბში, ამით კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერეს მსოფლიოში უნიკალური ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ისტორიაში.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *



სურათზე: მდინარე ერისწყალის კალაპოტის ხედი გადახიდვამდე.

ფოტო ი. ჟოხონელიძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

# წინაპართა დიდების მონამე

### დავიცვათ, მოვუაროთ ისტორიულ ძეგლებს

კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ჩვენი ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდება და უვლის წინაპართა მონაპოვარს, ყველაფერს, რაც ძველთაგან კარგი და სასარგებლო შემოგვრჩა — ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს, კულტურის ძეგლებს და ა. შ.

იყო დრო, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს საქართველოში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. დღეს კი ქართული კულტურის ძეგლების დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ არის გამოცხადებული და ამაზე პარტია და მთავრობა ზრუნავენ.

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივმოქმედმა კომისიამ საფუძვლიანად შეისწავლა და განიხილა კულტურისა და არქეოლოგიურ ძეგლთა შესწავლისა და მოვლა-პატრონობის საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

უკანასკნელ წლებში ქართული კულტურის ისტორიული ძეგლების დაცვის, აღდგენისა და კეთილმოწყობის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამჟამად აღრიცხული და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულია კულტურის 5 ათასზე მეტი ძეგლი. წარმატებით მიმდინარეობს მათი მეცნიერული კვლევა. აღდგენილი და შეკეთებულია ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, როგორიც არის მცხეთის ჯვარი, სამთავისი, იყალთო, გელათი, გეგუთი და სხვ. 1968 წელს წინა წლებთან შედარებით გაიზარდა საბიუჯეტო ასიგნობანი კულტურის ძეგლთა აღდგენა-გამაგრების სამუშაოებისათვის.

გაფართოვდა სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნო. კულტურის ძეგლების აღდგენა-გამაგრების სამუშაოთა უკეთ წარმართვის მიზნით ქუთაისში, თელავსა და ვარძიაში ჩამოყალიბდა საწარმოო უბნები. სიძველის ძეგლთა შესწავლის, დაცვისა და პოპულარიზაციის დარგში ნაყოფიერად მუშაობენ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, მისი ადგილობრივი საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ილუსტრირებული ჟურნალი „ძეგლის მეგობარი".

ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ქუთაისის საქალაქო, მცხეთის, ვანის, ცხაკაიას, თელავის, ყვარლის, გურჯაანის, გორის, თბილისის 26 კომისრის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები. მათ შემუშავებული აქვთ ძეგლთა დაცვისა და კეთილმოწყობის პერსპექტიული გეგმები. სათანადო ყურადღებას აქცევენ კულტურის უნიკალურ ძეგლებთან კეთილმოწყობილი სამანქანო გზების მიყვანას. ბიჭვინთასა და გრემში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა მუზეუმები. ზოგიერთ ძეგლთან მოეწყო პავილიონები, სადაც ტურისტებს შეუძლიათ შეიძინონ სათანადო ბროშურები და სამახსოვრო ნიშნები.

ზრუნვა კულტურის ძეგლთა დაცვასა და მოვლა-პატრონობაზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ღირსეული საქმეა; კარგი იქნება, თუ დასახელებული რაიონების მაგალითისამებრ სხვა რაიონებშიც მიიღებენ ქმედით ზომებს ძეგლების მიდამოების შემდგომი კეთილმოწყობისათვის, შეაკეთებენ მისასვლელ გზებს, დაასუფთავებენ ძეგლის ტერიტორიას და სხვ. ამ საქმეში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებს, მუდმივ კომისიებს, მოსახლეობას — საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს, კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მოსწავლეებს.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღდგენის საქმეში ბევრი რამ ჯერ კიდევ ვერ არის რიგზე. მრავალი ძეგლი მეცნიერულად შეუსწავლელია და დარჩენილია უპასპორტოდ. არ დაწყებულა მუშაობა კულტურის ძეგლთა ენციკლოპედიური ხასიათის სიების გამოსაცემად.

ზოგიერთ რაიონში ხორციელდება ისეთი სამეურნეო ღონისძიებანი, რომლებიც ზიანს აყენებენ კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეს. მაგალითად, შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ძეგლის თამარის ციხის (ბათუმის მახლობლად) მისასვლელთან რამდენიმე წლის წინათ ააგეს რესტორანი, რომლის საჭიროებისათვის ციხის კედელზე დადგეს წყლის რეზერვუარი, საიდანაც გამონაჟონი წყალი აზიანებს ისტორიულ ძეგლს.

ახალი ათონიდან 6 კილომეტრის დაშორებით არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მეათე საუკუნის ძეგლის კანკელი და სხვა ნაწილები კირად დაწვეს. სათანადო ყურადღება არ ექცევა მცველების შერჩევას. ხშირად ძეგლთა მცველებად შერჩეული არიან შემთხვევითი ადამიანები. ეს არ უნდა დავუშვათ, სასტიკად უნდა აიკრძალოს აგრეთვე ამ მიზნით დაშვებული საშტატო ერთეულის სხვა სამუშაოზე გამოყენება.

სათანადოდ მოწესრიგებული არ არის არქეოლოგიური ძეგლების აღრიცხვა და დაცვა, ირღვევა მათი შესწავლისა და შემდგომი დაცვის წესები. არსებული წესით არქეოლოგიური გათხრები უნდა ეწყობოდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეცნიერებათა აკადემიის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო გასცემს „ღია ფურცელს", რომლებიც რეგისტრირებული იქნება კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოში. მიუხედავად ამისა, რაიონებსა და ქალაქებში ყოველწლიურად მიმდინარეობს გათხრები ამ წესის დაუცველად, ხოლო მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები არ იღებენ ზომებს ასეთი შემთხვევების აღსაკვეთად.

თუ სათანადო რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები გაზრდიან მომთხოვნელობას მთავრობის იმ დადგენილების დასაცავად, რომ არ დაუშვან არქეოლოგიური გათხრების წარმოება რაიონის ტერიტორიაზე სათანადოდ რეგისტრირებული „ღია ფურცლის", უქონლად, ამით დიდად შეუწყობენ ხელს არქეოლოგიური ძეგლების მოვლა-შენარჩუნებისა და შესწავლის საქმეს.

სამწუხაროდ, ორგანიზაციები, რომლებიც გათხრებს აწარმოებენ, არ გამოჰყოფენ თანხებს ძეგლების კონსერვაციისათვის. ძეგლების აღრიცხვაზე ასაყვანად კულტურის სამინისტროში წარდგენილი არ არის არც ერთი განათხარი ძეგლის პასპორტი.

სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებს ჯერ კიდევ არა აქვთ შემუშავებული ძეგლთა კონსერვაციის მეცნიერული მეთოდები. არ არის მომზადებული სპეციალისტი ხის, ქვის, ლითონის, ალიზაგურის და სხვა მასალისაგან ნაგებ ძეგლთა დაცვისათვის. არ არის სათანადოდ მოგვარებული არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ლითონის (სპილენძი, ბრინჯაო და განსაკუთრებით რკინა), ქსოვილების ნაშთების, ჭილობის ფრაგმენტების და ხის ნაწარმის მეცნიერულად შემუშავებული მეთოდებით დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმე, განსაკუთრებით სამხარეთმცოდნეო და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში.

მოუწესრიგებელია კულტურის ძეგლების რესტავრატორთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივმოქმედმა კომისიამ ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია რესტავრატორთა კადრების მომზადება და რჩევა მისცა საქართველოს ხელოვნების მუზეუმს იზრუნოს ამ საკითხზე, რათა 1969 წლის ბოლომდე მომზადდეს სპეციალისტი-რესტავრატორები მუზეუმში ლითონის, ქვის, ხისა და სხვა მასალის ნაკეთობათა დაცვის უზრუნველსაყოფად და 1970 წლიდან აღნიშნული სპეციალისტების მეშვეობით სათანადო მომსახურება გაეწიოთ რესპუბლიკის მხარეთმცოდნეობისა და ეთნოგრაფიულ მუზეუმებს.

სასურველია რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესა, რადიო, ტელევიზია, გამომცემლობები მეტ ინტერესს იჩენდნენ ძეგლთა დაცვისა და პოპულარიზაციის საკითხებისადმი.

დიდად მოსაწონი და სასარგებლო თაოსნობა გამოიჩინეს თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტობამ. მათ გადაწყვიტეს აიღონ შეფობა კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებზე და ამასთან ერთად მიიღონ უშუალო მონაწილეობა სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარებაში.

მატერიალური. კულტურის ძეგლთა დაცვაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია საქართველოს მხატვართა და არქიტექტორთა კავშირების აქტიურ მონაწილეობას.

ძალიან ცოტა კეთდება წარსულის კულტურის ძეგლთა პოპულარიზაციის საქმეში. მცირეა მოსახლეობაში ლექცია-მოხსენებების, კონფერენციების, შეხვედრების რაოდენობა ამ საქმეში არასაკმარისად არიან ჩაბმული მეცნიერების, ხელოვნების მუშაკები და ლიტერატორთა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ამ მიმართულებით კი მეტი გამჭრიახობისა და თაოსნობის გამოჩენა შეუძლია საქართველოს ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურ საზოგადოებას.

კულტურის ძეგლების დაცვა ყოველი მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა, ვისთვისაც ძვირფასია თავისი სამშობლოს, ხალხის ისტორია და მომავალი.

ს. რიგვავა,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

# „საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 3

გამოვიდა და მკითხველებმა მიიღეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანო — ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 3. ჟურნალში დაბეჭდილია საინტერესო სტატიები, კორესპონდენციები, ინფორმაციები, რომლებიც მოგვითხრობენ ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებზე.

ნომერი იხსნება მოწინავე სტატიით — „კომპლექსური მექანიზაცია ჩაის პლანტაციებს". ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: ნ. ჩხოლარია — „ახალ ამოცანათა მიჯნაზე", ი. ჯანიაშვილი — „მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის თვითღირებულების შემცირების გზები", ა. ბაიაშვილი, ა. დარჩიაშვილი, ი. ლობილაძე, ნ. ბიძინაშვილი, — „ამაღლებს პროდუქტიულობას", ბ. პაიჭაძე, გ. სამხარაძე — „ყველა სასაქონლო ფერმას საუკეთესო ბინა", ფ. კვაშალი, ქ. ცინაძე, ჯ. ფურცელაძე — „სილოსით კვების ეფექტურობა", ო. შავგულიძე — „ტოქსოპლაზმოზი", კ. ორმოცაძე, გ. ხიზანიშვილი, ზ. დათიაშვილი — „საგაზაფხულო სამუშაოები საფუტკრეებში", ე. ფოფხაძე — „გავზარდოთ ნამყენი ნერგის გამოსავლიანობა".

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე ჟურნალში დაბეჭდილია რ. გოხელაშვილის, გ. შარაბიძის, გ. გაბრიჭიძის, თ. კვანტრიშვილის, ს. სეფიშვილის, ა. თათარიშვილის, შ. ლეფსვერიძის, ჯ. ბაქრაძის, გ. სეხნიაშვილის, გ. მესხის, გ. ტაბატაძის, ვ. გოგოლაშვილის, ა. ყანდაშვილის, უ. ხოფერიას, ს. ქოქაშვილის, ლ. გოგოლაშვილის, ო. მდივნიშვილის, ბ. ზონენაშვილის, მ. ოქროპირიძის, ზ. ხვედელიძის წერილები, ჩანახატები.

ჟურნალში მკითხველები აგრეთვე გაეცნობიან სოფლის მშრომელთა „საზრუნავს აპრილში" „გვეკითხებიან, ვუპასუხებთ", „ეს საინტერესოა". ჟურნალი კარგად არის გაფორმებული.

# თითები

### საქმე, რომელიც დღემდე ჭიანურდება

წალენჯიხის რაიონულ ცენტრში გამოსვლა დაიწყო სატირულ-იუმორისტულმა კედლის გაზეთმა „უჩინმაჩინის ანკესზე". სარედაქციო კოლეგიაში შევიდა შვიდი კაცი, მათ შორის რაიონული პრესის აქტიური მუშაკი, ჟურნალისტი დავით აბრალავა.

ციებ-ცხელება შეუდგათ მფლანგველებს, ხულიგნებს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევებს. ისინი ზედიზედ ეგებიან „უჩინმაჩინის ანკესზე". იუმორისტულ წერილებს, ლექსებს, კარიკატურებს ბევრი მკითხველი ჰყავს. ხალხს მოსწონს კრიტიკული წერილები. დაილოცოს იმის მარჯვენა, — ამბობენ ისინი, — ვინც დაგწერა და დაგხატა. მაგრამ შიგადაშიგ გაკრიტიკებულთა განაწყენებული ხმებიც გაისმის: „ამის დამწერს და დამხატავს ძირში უნდა მოვაჭრათ თითები!".

ასეთი გესლიანი სიტყვები გაისმა 1964 წლის აგვისტოშიც, როცა გამოვიდა ახალი ნომერი სატირულ-იუმორისტული კედლის გაზეთისა „უჩინმაჩინის ანკესზე". მასში სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული რაიონის ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

გავიდა რამდენიმე თვე, და... ბოროტმოქმედებაც მოხდა.

„დარტყმა თავის არეში ისეთი ძლიერი იყო, — წერს ჟურნალისტი დავით აბრალავა, — რომ უცებ წავიქეცი და გონება დავკარგე. მერე რა მოხდა, არ მახსოვს. ეტყობა, ბოროტმოქმედებმა ჯერ თავის არეში დამარტყეს, შემდეგ ხელი გადამიგრიხეს... ცერი და შუა თითი სახსარში დანით გადამიხსნეს".

დავითი სისხლისაგან იცლებოდა. სისხლში მოსვრილი ძლივს იცნო მეზობელმა პეტრე ქარჩავამ. მან სასწრაფოდ მოუხმო სხვა მეზობლებს. დავითი საკაცით მიიყვანეს წალენჯიხის საავადმყოფოში.

ეს იყო 1964 წლის 1 დეკემბერს, დაახლოებით ღამის 12 საათზე. ასე მიეჯაჭვა საავადმყოფოს საწოლს ჟურნალისტი, წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი დავით აბრალავა.

ბოროტმოქმედებმა დანაშაული 1964 წლის 1 დეკემბერს ჩაიდინეს, მაგრამ „ოქმი შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა" წალენჯიხის რაიმილიციის მუშაკებმა შეადგინეს მხოლოდ 4 დეკემბერს, ხოლო „ოქმი ნივთმტკიცების ამოღებისა" — 6 დეკემბერს. ეს ოქმები დიდი დაგვიანებით შეადგინა წალენჯიხის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილემ ლ. ჭურღულიამ. მანვე ახსნა-განმარტებები ჩამოართვა რამდენიმე პირს; მილიციის გამომძიებელმა ნ. ჯიქიამ დაჰკითხა დარისპან კვარაცხელიას და მის არარეგისტრირებულ ცოლს ნადია ივანიცკაიას.

დარისპან კვარაცხელიას მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც 1964 წლის 8 დეკემბერს გადაეგზავნა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს წალენჯიხის რაიონის გამომძიებელს მილიციის უფროს ლეიტენანტ შ. ქადარიას. აქ საკმაოდ გაჭიანურების შემდეგ მან დარისპან კვარაცხელიას საქმე წალენჯიხის რაიონის პროკურორს გადაუგზავნა 1965 წლის 12 მარტს.

პროკურორის თანაშემწემ ვ. მებონიამ ეს საქმე წარმოებაში მიიღო 1965 წლის 13 მარტს.

თუ რა პასუხისმგებლობით გამოიძია ვ. მებონიამ ეს საქმე, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ შურისმაძიებლები და მათი ხელშემწყობნი მხილებული არ იქნენ. ხოლო ამ საქმეზე პასუხისგებაში მისცეს რაიონში ყველასათვის ცნობილი სულით ავადმყოფი დარისპან კვარაცხელია. ამიტომ ეს საქმე რამდენჯერმე დააბრუნეს სახალხო სასამართლოებმა და საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ.

რა მოთხოვნებს უყენებდნენ გამოძიების მუშაკებს?

რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი გ. მეგრელიშვილი წალენჯიხის რაიონის პროკურორს ი. ქარდავას სწერდა:

„წინასწარი გამოძიება ამ საქმეზე პროკურორის თანაშემწის ვ. მებონიას მიერ ჩატარებულია არასრულყოფილად. გამოკვლეული არ არის მთელი რიგი გარემოებები, რომლებსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს... საქმის მასალებიდან არა ჩანს, თუ საიდან გახდა გამოძიებისათვის ცნობილი, რომ დ. აბრალავას სხეულის დაზიანება მიაყენა დარისპან კვარაცხელიამ. რატომ შემთხვევიდან მხოლოდ მესამე დღეს იქნა ჩატარებული ჩხრეკა დარისპან კვარაცხელიას ბინაზე? არ არის გამოვლენილი და დაკითხული ყველა მოწმე... გამოძიებას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წინაშე არ დაუყენებია საკითხი იმის შესახებ, ცულის ერთი დარტყმით აქვს თუ არა მოკვეთილი ორი თითი დაზარალებულ დ. აბრალავას. და, ბოლოს, გამოძიებამ დაბეჯითებით არ შეამოწმა დაზარალებულ დ. აბრალავას მიერ წამოყენებული ვერსია იმის შესახებ, რომ სხეულის დაზიანება მას დარისპან კვარაცხელიამ კი არა, სხვა პირთა ჯგუფმა მიაყენა.

გავალებთ უზრუნველყოთ ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად სახალხო სასამართლოსა და უმაღლესი სასამართლოს მითითებათა დროული და ხარისხიანი შესრულება. 24 მაისი, 1965 წელი".

როგორც მოსალოდნელი იყო, ვ. მებონიამ ეს მითითებანი არც გაითვალისწინა და არც შეასრულა. ამიტომ გ. მეგრელიშვილი პროკურორ ი. ქარდავას 1965 წლის 20 ნოემბერს კვლავ სწერს:

„...აღნიშნულ საქმეზე გამოძიება ვ. მებონიას მიერ უხარისხოდ არის ჩატარებული, რაც საფუძველი გახდა საქმის ორჯერ დამატებით გამოძიებაში დაბრუნებისა. აღნიშნული საქმე მიიღეთ თქვენს წარმოებაში, მისი გამოძიება ააცილეთ პროკურორის თანაშემწეს ვ. მებონიას და დაავალეთ სხვა რომელიმე გამომძიებელს"...

მართლაც, საქმის ხელახალი გამოძიება დაევალა გამომძიებელ კ. შონიას. მაგრამ რა! ისიც ძიების ძველ კვალს გაჰყვა. ბევრიბევრი, რაც მან მოახერხა, ის იყო, რომ საქმის შეწყვეტის შესახებ დაწერა დადგენილება. მოტივად მოიყვანა ის, რომ „მთავარი ბრალდებული ნადია ივანიცკაია უკვე გარდაიცვალა". საკვირველია. მთელი ორი წლის მანძილზე ნ. ივანიცკაია ერთხელაც არ დაუკითხავთ, როგორც ბრალდებული. არც იმის შემდეგ, რაც უმაღლესმა სასამართლომ კატეგორიულად მოითხოვა ნ. ივანიცკაიას პასუხისგებაში მიცემა. და თითქოს ამ უკანასკნელის სიკვდილს უცდიდნენო, სწორედ როგორც კი გარდაიცვალა აქამდე მოწმე ივანიცკაია, გამომძიებელმა კ. შონიამ, საქმეს ჯვარი დაუსვა და, როგორც უკვე ავღნიშნეთ, თამამად მიაწერა — მთავარი ბრალდებული გარდაიცვალაო.

უფრო ნათელი რომ გახდეს, საჭიროა აღინიშნოს, რომ ვ. მებონიამ თითქმის სამი თვის განმავლობაში გააჭიანურა და არ შეასრულა უმაღლესი სასამართლოს მითითება ნადია ივანიცკაიას პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ამ საკითხით არც ახალი გამომძიებელი კ. შონია დაინტერესებულა. იგი არ გაერკვა, თუ რა გარემოებაში გარდაიცვალა ნადია ივანიცკაია. (ნ. ივანიცკაია წალენჯიხის საავადმყოფოში შევიდა „სამკურნალოდ" 1966 წლის 24 თებერვალს და იმავე წლის 28 თებერვალს გარდაიცვალა).

სამაგიეროდ ნადია ივანიცკაიას სიკვდილის გარემოებათა შესახებ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის № 56 აქტის შედგენისათვის ყველა წინასწარ ღონისძიებათა შესრულება იკისრა ვ. მებონიამ, რომელსაც ადრე სამართლიანად ჩამოერთვა ეს საქმე. საკითხავია რატომ გამოეთიშა ნ. ივანიცკაიას გარდაცვალების გამო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მსვლელობას გამომძიებელი კ. შონია? ეს ხომ უშუალოდ დაკავშირებული იყო დ. აბრალავას თითების მოჭრასთან.

გზააბნეულად გამოძიებული საქმე რომ გაჭიანურდა, ამას ხელი შეუწყო აგრეთვე წალენჯიხის რაიონის მთავარმა ექიმმა გ. გოგოლაშვილმაც. ამასთან დაკავშირებით ზუგდიდის რაიონის პროკურორი გ. გვასალია, რომელსაც ამ საქმის გამოძიება ჰქონდა დავალებული, წალენჯიხის რაიაღმასკომისადმი წარდგინებაში აღნიშნავდა:

„...საქმე დღემდე ჭიანურდება; ეს ძირითადად გამოწვეულია... საქმისადმი გ. გოგოლაშვილის უპასუხისმგებლო დანაშაულებრივი დამოკიდებულებით, რაც გამოიხატება შემდეგში: დაზარალებულ დ. აბრალავას პირველი დახმარება გაუწია ექიმმა გ. გოგოლაშვილმა, მანვე შეავსო მისი ავადმყოფობის ისტორია, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს მისცა ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან, როგორც ავადმყოფობის ისტორიაში, ისე ამონაწერში არ უჩვენა, რომ დ. აბრალავას თავის ქალას სარქველი ჰქონდა დაზიანებული, აგრეთვე ჰქონდა მოვლენები თავის ტვინის მხრივ. აღნიშნული ფაქტის დამალვამ განაპირობა ის გარემოება, რომ დ. აბრალავას დაზიანების სიმძიმე განისაზღვრა მსუბუქ კატეგორიად... გ. გოგოლაშვილის ამგვარმა მოქმედებამ განაპირობა ძიების გაჭიანურება — საქმის ოთხჯერ დაბრუნება სასამართლოდან დამატებითი გამოძიებისათვის".

— დარისპან კვარაცხელიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების შემდეგ 1966 წლის 25 ივლისს მივიღე წარმოებაში რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების განკარგულების საფუძველზე, — ნათქვამია ზუგდიდის რაიონის პროკურატურის გამომძიებლის თ. გეთიას მიერ 1966 წლის 25 ოქტომბერს შედგენილ საბრალდებო დასკვნაში.

ყველა ფიქრობდა, რომ ბოლოს და ბოლოს ძიება იპოვნიდა სწორ გზას, გამოავლინებდა ნამდვილ დამნაშავეებს. მაგრამ ძიებამ ამჯერადაც მარცხი განიცადა.

და აი 1968 წლის 25 ივნისს რესპუბლიკის პროკურატურაში დაიწერა სრულიად სამართლიანი „პროტესტი ზედწესით დარისპან კვარაცხელიას საქმეზე".

იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად უგულოდ მოეკიდნენ მოცემულ საქმეს წინასწარი გამოძიებისას და სახალხო სასამართლომ რა ხასიათის შეცდომები დაუშვა, მოგვყავს პროტესტის სრული ტექსტი უცვლელად:

„ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს 1967 წლის 20 დეკემბრის განჩინებით წარმოებით შეწყვეტილ იქნა სისხლის სამართლის საქმე დ. კვარაცხელიას მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სსრ სსკ 17-106 მუხლით უკანასკნელის შეურაცხადობის გამო.

ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს აღნიშნული განჩინება არ არის სწორი, ვინაიდან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332 მუხლის შესაბამისად სასამართლოს არ გადაუწყვეტია არსებითი საკითხები: 1. ჰქონდა თუ არა ადგილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას; 2. ჩადენილია თუ არა მკვლელობის მცდელობა სულიერი აღელვების დროს სწორედ დ. კვარაცხელიას მიერ, რომლის მიმართ სასამართლოს არ გადაუწყვეტია დ. კვარაცხელიას ბრალეულობის საკითხი; 3. მკვლელობის მცდელობა დ. კვარაცხელიას მიერ ჩადენილია შერაცხად თუ შეურაცხად მდგომარეობაში და დაავადდა თუ არა იგი დანაშაულის ჩადენის შემდეგ სულით ავადმყოფობით, რომელიც გამორიცხავს სასჯელის გამოყენებას.

საბრალდებო დასკვნით დ. კვარაცხელიაზე წარდგენილი ბრალდება დ. აბრალავას მკვლელობის მცდელობაში მიჩნეულია დადასტურებულად თვით დ. კვარაცხელიას აღიარებით და აწ გარდაცვლილი ნ. ივანიცკაიას ჩვენებებით. სხვა რაიმე მტკიცებები დ. კვარაცხელიას მიმართ დ. აბრალავას მკვლელობის მცდელობით კვალიფიკაციისათვის საქმეში არ არსებობს.

დაზარალებული დ. აბრალავა თავის დაკითხვებში და განცხადებებში კატეგორიულად უარყოფს დ. კვარაცხელიას ბინაში მისვლას, იქ ღვინის დალევას და დაზიანების მიღებას დ. კვარაცხელიას ან ნ. ივანიცკაიას მხრიდან. ამდენად საქმეზე შეკრებილი მტკიცებები არასაკმარისია დ. კვარაცხელიას 17-106 მუხლით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის.

საბრალდებო დასკვნის აღწერილობით ნაწილში დადგენილადაა მიჩნეული დ. კვარაცხელიას მიერ დ. აბრალავაზე წალდის გამოყენებით მარჯვენა ხელის ცერისა და შუა თითის მოჭრა, მაგრამ დ. კვარაცხელიას ასეთი ქმედობა არ არის ასახული მის მიმართ ბრალდების წარდგენის დადგენილებაში.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე, იუსტიციის მესამე კლასის სახელმწიფო მრჩეველი გ. ბიწაძე".

სწორედ ამიტომ იყო, რომ 1968 წლის 5 აგვისტოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსის მოადგილემ ს. ტვილდიანმა ქ. ზუგდიდის პროკურორს კ. ნარმანიას მისწერა:

„საქმეზე გამოძიება დაავალეთ გამომძიებელ დ. კუხალეიშვილს. გთხოვთ შეასრულოთ საქმეზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში აღნიშნული მითითებები და უზრუნველყოთ საქმეზე სრულყოფილი და ხარისხიანი გამოძიების ჩატარება".

გამომძიებელმა დ. კუხალეიშვილმა ჩაიბარა ორტომიანი საქმე. დ. აბრალავას იმედი ჰქონდა, რომ ახალი გამომძიებელი არ გაჰყვებოდა მანკიერი ძიებით გაკვალულ გზას. (ეს გზა მემკვიდრეობად დატოვეს გამომძიებლებმა ლ. ჭურღულიამ, ნ. ჯიქიამ, გ. ქადარიამ, ვ. მებონიამ, კ. შონიამ, თ. გეთიამ). მაგრამ ეს იმედიც გაქრა.

მართალია, ორტომიანი საქმე სამტომიანი გახდა, მაგრამ ეს 671-ფურცლიანი საქმე ოდნავაც ვერ მიუახლოვდა ჭეშმარიტებას. პირიქით, ახალ საქმეში ჩაკერებული აღმოჩნდა ყალბი დოკუმენტი, რომელიც ზუგდიდის პროკურატურაში წარადგინა ვაჭრობის მუშაკმა ნ. სალიამ. ამ ყალბმა დოკუმენტმა ახალი გამოძიება მცდარ გზაზე დააყენა. (სწორედ ნ. სალია იყო გაკრიტიკებული სატირულ-იუმორისტულ გაზეთში 1964 წლის აგვისტოში. სამიოდე თვით ადრე, ვიდრე დ. აბრალავას თითებს მოსჭრიდნენ. ყალბ ცნობაში კი წერია, თითქოს ეს გაზეთი გამოეშვათ 1965 წელს ე. ი. დ. აბრალავაზე თავდასხმის შემდეგ). პროკურატურის მუშაკები ალბათ დაინტერესდებიან, რატომ დასჭირდა ნ. სალიას გამოძიების შეცდომაში შეყვანა. სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა დავძინოთ ერთი ფაქტი. ნ. სალია ერთ დროს პარტიის წევრი იყო. მაშინ ბატარა სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელობდა, დანაშაული ჩაიდინა და პარტიიდან გარიცხეს. ამის შემდეგ სამუშაო ობიექტი გაუფართოვდა — მთელი მუშათა მომარაგება ჩააბარეს. საკითხავია, რა მონაცემებით?

ეს სხვათაშორის. ახლა ისევ ზუგდიდის ქალაქის პროკურატურას დავუბრუნდეთ. ეტყობა გამომძიებელი დ. კუხალეიშვილი სათანადოდ ვერ ჩაოფიქრა ზემდგომი ორგანოების კატეგორიულმა მითითებებმა ფრიად ხარვეზებიანი ძიების შესახებ, აგრეთვე ვერც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის აქტის მითითებამ, რომ „აღნიშნული დაზიანების მიყენება პირველ და მესამე თითზე ერთდროულად რაიმე ბასრი მჩხავი იარაღით არ შეიძლება. აღნიშნული თითების მთლიანად მოცილების პირობებში უსათუოდ იმავე სიბრტყეში დაზიანებული უნდა ყოფილიყო მეორე თითიც. მოქმედებდა რაიმე ბასრი — მჩხავი საგანი"...

მერე რა მოხდა? 1968 წლის 29 სექტემბერს დ. კუხალეიშვილმა დაწერა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისა და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებისათვის სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ:

„...ვინაიდან დ. კვარაცხელია ფსიქიურად შეურაცხადია, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს წარმოებით და გადაეგზავნოს სახალხო სასამართლოს სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შესაფარდებლად".

თუ ამ დადგენილების გარდა არაფერი იყო საჭირო, მაშ რისთვის არღვევდნენ ამ უთავბოლოდ გამოძიებულ საქმეს, რისთვის იწერებოდა ამდენი პროტესტი და მითითება თვით რესპუბლიკის პროკურატურის კომპეტენტურ პირთა მიერ? კაცმა რომ თქვას, იმ თავითვე ხომ ცნობილი იყო, რომ დარისპან კვარაცხელია სულით ავადმყოფი და შეურაცხადია. მაშ რატომ გაითამაშეს მისი პასუხისგებაში მიცემის სცენა?

ცხრამეტი წელია რაიონული პრესის მუშაკია დავით აბრალავა. ამჟამადაც იგი წალენჯიხის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელი მდივანია და ბოროტმოქმედთა მიერ წაჭრილი აქვს ის თითები, რომლებითაც წერდა. ის სამართლიანად აღშფოთებულია სისხლის სამართლის საქმის ძიების უმწეობით და აღნიშნავს, რომ ნამდვილი დამნაშავენი გამოძიებას ემალებიან.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამჟამად მათი პოვნა, შეიძლება, მართლაც ძნელია. მაგრამ ვფიქრობთ — რესპუბლიკის პროკურატურისა და პარტიის წალენჯიხის რაიკომისათვის ძნელი არ უნდა იყოს პრინციპულად იმსჯელონ იმათზე, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეს უსულგულოდ, ზერელედ იძიებდნენ, და რის გამოც იგი დღემდე ჭიანურდება.

ბ. თათარიშვილი,
ს. უურაშვილი,
გ. ნოდია,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

წალენჯიხა-ზუგდიდი.

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ოთხშაბათი,
19 მარტი, 1969 წ.



ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ თბილისში გაიმართა ამაღელვებელი შეხვედრა დივიზიის ლეგენდარული მეთაურის ვასილ კიკვიძის თანამებრძოლთა ჯგუფთან, რომელნიც ჩვენს დედაქალაქში მოსკოვიდან ჩამოვიდნენ.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სააქტო დარბაზი ხალხით არის გაჭედილი.

გაისმის ბრძანება. ყველანი ფეხზე დგებიან. შემოაქვთ წმიდათა-წმიდა რელიკვია, დიდების შარავანდედით მოსილი საბრძოლო დროშა, რომლის ქვეშაც იბრძოდა დივიზიის ლეგენდარული მეთაური ვასილ კიკვიძე. წითელ ატლასზე ოქროს ვარაყით აღბეჭდილია წარწერა: „სრულიად რუსეთის ცაკისაგან 138-ე მსროლელ პოლკს".

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მშრომელი ახალგაზრდობის სახელით გამოვიდა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ვ. ტიტარევი, მოსწავლეთა სახელით 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლე რ. რუდნევა.

სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი კ. მახარაძე, კიკვიძის როლის ერთ-ერთი შემსრულებელი ამავე სახელწოდების სპექტაკლში რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან თბილისელთა სტუმრები — ვეტერანი კიკვიძელები, რომლებიც გამოდიან მოგონებებით ქართველი ხალხის სახელოვან შვილზე, მგზნებარე პატრიოტზე, შეუდრეკელ რევოლუციონერზე. დამსწრენი მათ მქუხარე ტაშით ხვდებიან.

სამსახურიდან გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ი. ს. ბეზუგლიმ ილაპარაკა საბრძოლო გზაზე, რაც განვლო დივიზიამ, რომელიც სამოქალაქო ომის წლებში ვასილ კიკვიძის სარდლობით გმირობის სასწაულებს ახდენდა. ი. ს. ბეზუგლიმ ვეტერანთა სახელით ქალაქის კომკავშირს ძღვნად გადასცა ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

სამსახურიდან გადამდგარმა გენერალ-პოლკოვნიკმა მ. პ. დიმიტრიევმა ილაპარაკა მგზნებარე რევოლუციონერის ბრწყინვალე ორგანიზატორულ ნიჭზე და მის შეხვედრებზე ვ. ი. ლენინთან.

თადარიგის პოლკოვნიკმა ი. ვ. პანტელეევმა აუდიტორია აღაფრთოვანა მკაფიო და შთამბეჭდავი ნაამბობით ვ. კიკვიძის ბრძოლის ეპიზოდებზე, მის გმირობაზე, მამაცობაზე, მხედრულ მოსაზრებულობაზე.

ტრიბუნაზეა ა. პ. სოკოლოვი, კიკვიძის დივიზიის ყოფილი მებრძოლი. ქალაქის ახალგაზრდობას მან გადასცა სურათები, რომლებზეც აღბეჭდილია დივიზიის ლეგენდარული მეთაური.

ყველა გამოსულნი ლაპარაკობდნენ საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბული ვითარების შესახებ, გათავხედებულ მაოისტთა საზიზღარი პროვოკაციების შესახებ კუნძულ დამანსკისთან, გამოთქვამდნენ საბჭოთა ადამიანების მზადყოფნას თავიანთი მკერდით დაიცვან საბჭოთა სამშობლო და იბრძოლონ ყოველი აგრესორის წინააღმდეგ ისევე თავდადებულად, როგორც იბრძოდა პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი ვასილ ისიდორეს-ძე კიკვიძე.

კვლავ გაისმის ბრძანება. დროშა გააქვთ. მტკიცე და მკაცრია ახალგაზრდობის სახეები. მათ ხომ თითქოს თვალნათლივ ნახეს დივიზიის გმირი მეთაური.

დასასრულ გაიმართა მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების კონცერტი.

(„კომ". კორ.).

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ვეტერანი კიკვიძელები და დივიზიის ლეგენდარული მეთაურის ნათესავები.

ფოტო ა. კავკასიძისა.

# ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

## შეგვეკითხეთ, გიპასუხებთ

**ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ:** ჩამეთვლება თუ არა პედაგოგიური მუშაობის სტაჟში მშრომელთა დეპუტატების ხაქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნად მუშაობის პერიოდი?

ა. ბუბუშაშვილი,
ქ. ონი.

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:** მასწავლებლებს, აღმზრდელებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს საბჭოთა ორგანოებში არჩევით თანამდებობაზე მუშაობის პერიოდი ჩაეთვლებათ პედაგოგიური მუშაობის სტაჟში იმ პირობით, თუ ამ მუშაობას უშუალოდ წინ უძღოდა და უშუალოდ თან სდევდა პედაგოგიური მოღვაწეობა.

**ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ:** განვქორწინდი ქმართან. მყავს 4 წლის შვილი. არც მე და არც ჩემს შვილს კომლის ქონებიდან წილი არ მიგვიღია. გვეკუთვნის თუ არა?

ლ. ჯაფარიძე,
მაიაკოვსკის რაიონი.

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:** თუ თქვენ ირიცხებოდით თქვენი ქმრის კომლში და შვილიც იქ ცხოვრების პერიოდში შეგეძინათ, თქვენც და თქვენს შვილსაც გეკუთვნით წილი კომლის ქონებიდან. კომლიდან კუთვნილი წილის მიღების ვადად დაწესებულია 3 წელი.

**ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ:** ვარ სოფ. ლელიანის კოლმეურნეობის წევრი. ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით საავადმყოფო ფურცლების საფუძველზე მივიღე შვებულება, მაგრამ შვებულების დროისათვის კუთვნილი დახმარების მოცემაზე უარი მითხრეს. მეკუთვნის თუ არა?

ლ. რიჟამაძე,
ლაგოდეხის რაიონი.

**ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:** კოლმეურნეობის წევრ ქალებს უფლება აქვთ მიიღონ დახმარება ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებით შვებულების მთელი პერიოდისათვის შრომის სტაჟის მიუხედავად. ასეთი შვებულება მათ ეძლევათ 56 კალენდარული დღით მშობიარობამდე და 56 კალენდარული დღით მშობიარობის შემდეგ (არანორმალური მშობიარობის ან ორი და მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში მშობიარობის შემდგომი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 70 დღით).

# ᲝᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

## ᲝᲡᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ

[illegible] რეჟისორი მოღვაწე ჯ. კახიძე, მხატვარი — ბ. მესხერელი.

წარმოდგენაში ძირითადად ახალგაზრდები მონაწილეობენ — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. ჯანდიერი და ბ. მონავარდისაშვილი, ბალეტის სოლისტები მ. მახარაძე, ზ. გოგი- [illegible]

## „ᲨᲔᲜ, ᲔᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ!"

[illegible] ხურებულმა მხატვარმა თ. სამსონაძემ. მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კ. პევზნერს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობები ლ. კრილოვა და ვ. პეტროვსკი.

მაყურებელმა წარმოდგენა ინტერესით მიიღო. („კომ". კორ.).

### ᲞᲔᲜᲡᲘᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲡ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). დიდია სოფელი ველისციხე და კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი". ბუნებრივია, შრომაში გაჭაღარავებულ ადამიანთა მეტი ნაწილიც ამ სოფელზე მოდის. უზრუნველი სიბერის უფლება ათასზე მეტმა კოლმეურნემ მოიპოვა. მწყემსი იოსებ აბულაძე ყოველთვიურად 72 მანეთ პენსიას იღებს, მევენახე სერგო კარდენახიშვილი — 60 მანეთს.

### ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). სოფელ ქუტირიდან ბევრი ვაჟკაცი სამშობლოს პირველ დაძახილზე წავიდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. მათ შორის მრავალმა გმირობითა და მამაცობით ისახელა თავი. ერთ-ერთი მათგანია საბჭოთა კავშირის გმირი აკაკი ტერელაძე.

სოფლის მშრომელები პატივს სცემენ იმათ ხსოვნას, ვინც ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. აქ მოაწყეს შინმოუსვლელთა სტენდი.

### ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲙᲐᲠᲒᲘ საჩუქარი მიიღო ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის მოსწავლე ახალგაზრდობამ. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ი. ქანთარია) საშუალო სკოლისათვის აავო და საექსპლოატაციოდ გადასცა ახალი კაპიტალური კეთილმოწყობილი შენობა. მოსწავლეთა განკარგულებაშია ნათელი საკლასო ოთახები კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული მოედნები, სადურგლო-საზეინკლო სახელოსნოები, მეოჯახეობისა და სხვა კაბინეტები. სკოლას ცენტრალური გათბობაც აქვს.

ახალი სასკოლო შენობის დასუფთავებასა და კეთილმოწყობაში უფროსებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ისინი ასუფთავებდნენ ტერიტორიას, გაჰქონდათ მშენებლობის ნარჩენები, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მშობლიური სკოლა უფრო მიმზიდველი, კეთილმოწყობილი გაეხადათ.

ამ სურათზე, რომელიც ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა გადაიღო, აღბეჭდილია მოსწავლეთა შრომითი საქმიანობის ერთი მომენტი. საშუალო სკოლის მოსწავლეები (მარცხნიდან) ი. შენგელია, ზ. ებანოიძე და ნ. ქოქოსაძე ასუფთავებენ ფიზიკის კაბინეტს. მათ და მათმა თანატოლებმა ამ კაბინეტში უნდა შეისწავლონ ფიზიკის თანამედროვე მიღწევები, დაეუფლონ მეცნიერების მწვერვალებს.



ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ხშირად მოსდის წერილები, რომლებშიც მკითხველები გვთხოვენ ვუპასუხოთ სხვადასხვა სამედიცინო თემაზე. მათ შორის მრავალს აინტერესებს პირადი ჰიგიენის, გამაჯანსაღებელი ფიზიკური ვარჯიშის საკითხები. დღეს ვბეჭდავთ ფიზიოლოგ ე. სტაროკოლსკაიასა და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ე. დანილოვის წერილს, რომელიც მოგვაწოდა სანიტარული განათლების ცენტრალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.**

# ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐ!

□ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲛᲝᲥᲐᲜᲪᲣᲚᲝᲑᲐᲡ □ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ, ᲗᲣ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ, ᲖᲔᲠᲔᲚᲐᲓ, ᲗᲣ — ᲦᲠᲛᲐᲓ?

□

ᲛᲝᲥᲐᲜᲪᲣᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ბრძოლაში სწორი სუნთქვის მნიშვნელობა უაღრესად დიდია. ჩვენი სასუნთქი აპარატის შესაძლებლობებზე ერთგვარ წარმოდგენას იძლევა ფილტვების ეგრეთწოდებული სასიცოცხლო ტევადობის სიდიდე (ჰაერის რაოდენობა, რომლის ამოსუნთქვაც ადამიანს შეუძლია მაქსიმალურად ღრმა შესუნთქვის შემდეგ). ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა ნორმალურად დაახლოებით 2,5-4 ლიტრს უდრის და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოძრავია გულმკერდი, რამდენად აქვს თავისი მოცულობის გადიდებისა და შემცირების უნარი. **განასხვავებენ სამი ტიპის სუნთქვას: მკერდისეულს, მუცლისეულსა და შერეულს.** მკერდისეული სუნთქვის დროს ფილტვები ჰაერით ივსება უმთავრესად ნეკნთაშორისი კუნთების შეკუმშვის ხარჯზე და მკერდის ღრუს მოცულობა მხოლოდ ზედა ნაწილში დიდდება; მუცლისეული სუნთქვისას იკუმშება დიაფრაგმა და ჰაერით ივსება ფილტვების ქვედა განყოფილებები. ხოლო ყველაზე სრული სუნთქვაა შერეული, როცა ერთდროულად იკუმშება ნეკნთაშორისი კუნთებიც და დიაფრაგმაც. გულმკერდის ღრუს მოცულობა ამასთან ყველა მიმართულებით დიდდება და ფილტვები თანაბრად ივსება ჰაერით.

**სუნთქვის ტიპი** (მამაკაცებს იგი უპირატესად მუცლისეული აქვთ, ქალებს — მკერდისეული) ბევრად განისაზღვრება ასაკით, სქესით, პროფესიით და დღის განმავლობაში შეიძლება იცვლებოდეს ტანისამოსის, შრომის ხასიათის, პოზის მიხედვით. ჯდომელა მუშაობისას სუნთქვა უპირატესად მკერდისეულია, ძილში — მუცლისეული, ხოლო ყოველი ფიზიკური მუშაობა უკვე შერეული ტიპის სუნთქვას მოითხოვს. კაცი საწერ მაგიდას უზის, შეამოწმეთ და დარწმუნდებით, რომ დიაფრაგმა თითქმის არ მონაწილეობს სუნთქვაში, ხოლო მისი აქტიური მოძრაობანი ხომ ფილტვების სასიცოცხლო ტევადობას ზრდიან და დიდ გავლენას ახდენენ სისხლის მიმოქცევაზე, საჭმლის მონელებაზე, გულის ავსებაზე სისხლით. შესუნთქვის დროს დიაფრაგმა აწვება მუცლის ღრუს ორგანოებს, ხელს უწყობს ვენური სისხლის დინებას გულისაკენ, რითაც აადვილებს გულის მუშაობას და თავიდან გვაშორებს სისხლის დაგუბებას მუცლის ღრუს ორგანოებში. გარდა ამისა, თავისი რყევითი მოძრაობით დიაფრაგმა მასაჟს უკეთებს კუჭსა და ნაწლავებს და ხელს უწყობს საჭმლის მონელებას.

**რაც უფრო სრულია ამოსუნთქვა, მით უფრო ღრმაა შესუნთქვა.** ჟანგბადის ნაკლებობისადმი ყველაზე მგრძნობიარეა თავის ტვინი. ასეთი ნაკლებობის სიგნალი ხშირად ხდება... მთქნარება, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზმის იმ მისწრაფებასთან, რომ გააძლიეროს მაცოცხლებელი ჟანგბადის მიღება. ასეთ შემთხვევებში რეკომენდებულია სუნთქვის რამდენიმე ვარჯიში გავაკეთოთ და თითქოს „გავრეცხოთ" ტვინი სუფთა სისხლით.

სუნთქვის რეგულირებას ცენტრალური ნერვული სისტემა ახდენს. როგორც კი ორგანიზმი ჟანგბადის მოხმარებას აძლიერებს და ნახშირორჟანგის დაგროვებას იწყებს, სუნთქვის ცენტრი, რომელიც მოგრძო ტვინშია, „განკარგულებას" იძლევა გაძლიერდეს სუნთქვა. ეს არანებისმიერი რეგულაციის მაგალითია. მაგრამ შეგვიძლია ჩვენი სურვილითაც ვისუნთქოთ უფრო იშვიათად თუ უფრო ხშირად, ზერელედ თუ ღრმად. ამაზეა დამყარებული სუნთქვის ვარჯიში, მისი დახმარებით შეგნებულად ვივითარებთ სასუნთქ აპარატს, შემდეგ კი უკვე ვეჩვევით ავტომატურად ნებისმიერ ღონისძიებათა გამოუყენებლად, ვისუნთქოთ ღრმად, თანაბრად.

**ზერელე სუნთქვისას კი ფილტვების ვენტილაცია საკმარისი არ არის და, ჟანგბადის ნაკლებობა რომ შევავსოთ, უნებურად გვიხდება გავახშიროთ სუნთქვა. მაგრამ ასეთი წესი ერთნახევარჯერ ნაკლებად ეფექტურია. ცხადია, რომ უნდა ვცდილობდეთ ღრმად ვისუნთქოთ.**

სუნთქვაზე მავნე გავლენას ახდენს **ცხიმების ზედმეტად დაგროვება და ტანის არასწორად დაჭერა, მოხრილობა.** თითოეული ადამიანი თვალს უნდა ადევნებდეს თავის თავს და ტანის ყოველი მდგომარეობისას ცდილობდეს თავი სწორად ეჭიროს, მხრები გაშლილი ჰქონდეს, წელში გამართული იყოს.

როცა ცხვირით ვსუნთქავთ, ჰაერი არა მარტო თბება, ტენიანდება და მტვრისგან იწმინდება, არამედ უფრო თანაბარზომიერადაც შედის შიგნით, უკეთ ავსებს ფილტვების ყველა ნაწილს, პირით სუნთქვისას კი ჰაერის ნაკადი ერთბაშად მიეშურება ფილტვების ქვედა განყოფილებებში, გვერდს უვლის ზედა და ცენტრალურ განყოფილებებს. ეს ადგილები, რომლების ვენტილაცია ცუდად ხდება, ყველაზე ხშირად ზიანდება. პირით სუნთქვა დასაშვებია მხოლოდ დიდი ფიზიკური დატვირთვისას, როცა ვცურავთ, დავრბივართ, თხილამურებით დავდივართ — ყველა ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მატულობს ორგანიზმის მოთხოვნილება ჟანგბადზე.

ვარჯიში რეკომენდებულია დავიწყოთ მხრების ბრუნვითი მოძრაობით — ზემოთ, უკან, ქვემოთ და პირუკუ მიმართულებით; იდაყვების წრიული მოძრაობით, სხეულის დაღუნვით წინ და უკან, მარჯვნისაკენ და მარცხნისაკენ. მუცლისმიერი სუნთქვის ვარჯიში უფრო ადვილია გულაღმა წოლისას; ამასთან ხელისგულები თავქვეშ უნდა ამოვიდოთ. ვარჯიში იწყება აქტიური ამოსუნთქვით ისე, რომ მუცელმა შიგნით შეიწიოს, მერმე კი მცირე პაუზის შემდეგ, აუჩქარებლად უნდა შევისუნთქოთ დიაფრაგმით, რომ მუცელმა გარეთ გამოიწიოს. ეს ვარჯიში მეორდება 5-7 წუთს. მკერდისეული სუნთქვის ვარჯიშისათვის თავდაღმა უნდა დავწვეთ, ხელები კი წელზე გადავიტანოთ — ასეთ მდგომარეობაში დიაფრაგმის მოძრაობა იზღუდება, ნეკნთაშორისი კუნთები კი უფრო აქტიური ხდებიან. ღრმა სუნთქვის სეანსი 5-7 წუთს გრძელდება.

**გონებრივი შრომის მუშაკებისათვის საერთოდ სასარგებლოა დღეში რამდენჯერმე ჩართონ სრული სუნთქვა — ეს რამდენადმე აანაზღაურებს ჯდომელა მუშაობის მავნე შედეგებს.**

### ...ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ და დანიელი გროსმაისტერების მ. ტალისა და ბ. ლარსენის მატჩი ჭადრაკში დასასრულს უახლოვდება. უკანასკნელმა ორმა დამარცხებამ ზედიზედ მკვეთრად გააუარესეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მდგომარეობა.

მეხუთე პარტიაში რიგელი გროსმაისტერი აღმავლობით იბრძოდა. დებიუტიდან მიღებულ პოზიციურ უპირატესობას მან თანდათან ხორცი შეასხა და ბ. ლარსენს პირველი დამარცხება აგემა.

**ხუთი ტურის შემდეგ ანგარიშია 3:2 ბ. ლარსენის სასარგებლოდ.**

### ᲬᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲨᲘ ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა 8 ტური. 6,5 ქულით წინ არის სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ლენინგრადელმა გროსმაისტერმა ვ. კორჩნოიმ, რომელიც ახლა ოფიციალურად აღიარებულია მსოფლიოს № 3 მოჭადრაკედ ტ. პეტროსიანისა და ბ. სპასკის შემდეგ, ამ დღეებში უპასუხა კორესპონდენტების შეკითხვებზე. აი ზოგიერთი პასუხი.

### ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

## Ვ. ᲙᲝᲠᲩᲜᲝᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**როგორ დამთავრდება, თქვენი აზრით, მატჩი მსოფლიოს პირველობაზე?**

მას შემდეგ, რაც ბ. სპასკისთან მატჩი ვითამაშე, ჩემთვის ყველაფერი ნათელი იყო. მეგონა, მასთან მე თუ დავმარცხდი, პეტროსიანიც წააგებდა. მაგრამ აი, გავიდა დრო, „გონს მოვედი" და გთხოვთ შეასწოროთ ჩემი ადრინდელი ინტერვიუ.

პეტროსიანი ახლა ცდილობს „ფორმაში შევიდეს". ამიტომაც მიიღო მონაწილეობა მაიორკის საერთაშორისო ტურნირში. ამ ტურნირში სპასკიმ მასზე 1,5 ქულით მეტი დააგროვა, მაგრამ როგორღაც ვერ დამამახსოვრდა მისი კარგი პარტიები. სპასკის ტაქტიკა პრეტენდენტების წინა მატჩებში ახლა აღარ გამოდგება. არ შეიძლება პეტროსიანს ისე შეუტიო, როგორც გელერს.

თუ კი არსებობს რაიმე მაჩვენებელი, რომლის ძალითაც მოჭადრაკეთა სიძლიერის შედარება შეიძლება, ყველა მათგანით სპასკის უპირატესობა უნდა მივანიჭოთ. მაგრამ როგორ უნდა დაამარცხოს მან პეტროსიანი, ნათელი არ არის.

**თქვენ უკეთესად ითამაშებდით ტ. პეტროსიანთან მატჩში, ვიდრე ბ. სპასკი?**

— არა მგონია.

**წერთ თუ არა რაიმე წიგნს?**

არა. მე დიდი ხანია წინადადება მომცეს შემედგინა ჩემი რჩეული პარტიების კრებული. ოთხი უკანასკნელი წლის მანძილზე დაახლოებით 20 პარტია გავარჩიე, მაგრამ რადგანაც წიგნისათვის 50 პარტია მაინც არის საჭირო, ეს მუშაობა, ეტყობა, გაჭიანურდება.

**რატომ არ ითამაშეთ უკანასკნელ საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ალმა-ატაში გაიმართა?**

ბევრი მიზეზი მქონდა. ჩემპიონატის სტარტიდან მხოლოდ ერთი კვირის წინ დავბრუნდი ესპანეთიდან, 3 იანვრიდან კი დავიწყე მეცადინეობა ბავშვებთან, რომლებიც ე. წ. „კორჩნოის სკოლაში" შედიან.

**ხომ არ სურდათ მაიორკის ტურნირის ორგანიზატორებს მოეწვიათ ფიშერი?**

არა, ყველას როდი მოსწონს მისი სკანდალი.

**რას იტყვით ლარსენზე?**

იგი ხშირად იღებს პირველ ჯილდოებს საერთაშორისო ტურნირებში არა იმიტომ, რომ ჩვენს გროსმაისტერებზე ძლიერია. უბრალოდ, იგი უფრო შეჩვეია ამ საერთაშორისო ტურნირებში თამაშს, ხომ არ შეიძლება ასეთი ტურნირების შედარება საკავშირო ჩემპიონატებთან. ჩვენს პირველობებზე არ არიან აუტსაიდერები, რომელთაც გროსმაისტერი მოუგებს, როგორც სურს.

ლარსენი რომ საუცხოო სატურნირო მებრძოლია, ამას შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. მან წააგო ჩემთან და პეტროსიანთან, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სპასკთან, მაგრამ დანარჩენ 14 მოჭადრაკესთან 12,5 ქულა შეაგროვა.

კომუნისტი სპორტი

# ᲙᲝᲮᲢᲐᲒᲝᲠᲘᲡ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲖᲔ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘᲡ სტუმრები არიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სამთო მოთხილამურე ვაჟები. აქ დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება. მონაწილეობენ „დინამოს", „ბურევესტნიკის", „შრომითი რეზერვების", არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის, „ტრუდის", „სპარტაკისა" და სხვა სასპორტო საზოგადოებათა წარმომადგენლები, რომელთა შორის არიან გასულ პირველობებში გამარჯვებულები, რეკორდსმენები.

კოხტაგორის ფერდობზე უკვე დამთავრდა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. წარმატებით გამოვიდა „ბურევესტნიკის" მოთხილამურე ა. ტორმოსინი, რომელმაც აჩვენა დრო — 1 წუთი და 35 წამი და ჩემპიონობა დაიმსახურა. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს საზოგადოება „ტრუდის" წარმომადგენლებმა ვ. ბელიაკოვმა და ვ. მელნიკოვმა. ვერცხლის პრიზიორის დროა — 1 წუთი და 35,5 წამი, ბრინჯაოს პრიზიორისა — 1 წუთი და 35,6 წამი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა დინამოელმა გ. აბრამიშვილმა მეექვსე ადგილი დაიკავა — 1 წუთი და 37,4 წამი.

დაიწყო შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. ჩემპიონის გამოსავლინებლად საჭიროა ორი ცდის საუკეთესო ჯამი. მეტოქეებმა პირველი ცდის შეხვედრები უკვე დაამთავრეს. წინ არის ვ. მელნიკოვი — 1 წუთი და 19,2 წამი. მომდევნო ორი ადგილი უკავიათ ა. ტორმოსინსა (1 წუთი და 19,4 წამი) და ვ. ბელიაკოვს (1 წუთი და 20,5 წამი), გ. აბრამიშვილი მეხუთე ადგილზეა (1 წუთი და 21,7 წამი),

საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერები არიან „დინამოს" სამთო მოთხილამურეები.

### ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

◆ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ დამთავრდა ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი მიძღვნილი XIV სპარტაკიადა. ისევე როგორც შარშან, წელსაც პირველი ადგილი დაიკავა საზოგადოება „ბურევესტნიკის" სპორტსმენთა კოლექტივმა, რომელმაც 64 ქულა შეაგროვა. მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა თბილისის განათლების განყოფილების გუნდმა, მესამე — „განთიადის" გუნდმა.

◆ ᲩᲔᲚᲘᲐᲑᲘᲜᲡᲙᲡᲐ და ტულაში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი ფრენბურთში ქალთა გუნდებისათვის. ცნობილია 8 უძლიერესი კოლექტივი, რომლებიც მოაწყობენ დასკვნით ასპარეზობას ოქროს მედლებისათვის. ესენი არიან: მოსკოვის ცსკა, „დინამო" და „ლოკომოტივი", მინსკის „სპარტაკი", ბაქოს „ნეფტჩი", ლენინგრადისა და კიევის „ბურევესტნიკის" გუნდები და სვერდლოვსკის „ურალმაში".

## ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ

ᲒᲝᲠᲙᲨᲘ გრძელდება საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების პირველი წრის მეორე ტურის შეხვედრები წყალბურთში.

17 მარტის თამაშებიდან ცენტრალურ მატჩს წარმოადგენდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო კლუბისა და მოსკოვის „ტორპედოს" გუნდების შეხვედრა. ტორპედოელები აღმავლობით იბრძოდნენ და ლიდერს პირველი დამარცხება აგემეს ანგარიშით 5:3.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლენინგრადის „ბალტიკას" შეხვედრა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 6:5.

ასევე ერთმა გოლმა გადაწყვიტა მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" გუნდების მატჩის ბედი. წარმატება მოსკოველებს ხვდათ 5:4.

პირველი გამარჯვება იზეიმა დებიუტანტმა ალმა-ატის „დინამომ". მან დაამარცხა კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი 4:3. კიევის დინამოელებმა დაამარცხეს ლვოველი თანაკლუბელები 5:3.

ლიდერია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, რომელსაც 10 ქულა აქვს.

## ᲠᲐᲓᲘᲝ

**ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲛᲐᲠᲢᲘ**

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული საესტრადო მუსიკის კონცერტი, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.30 — საოპერეტო მუსიკა, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვი), 11.45 — ჟურავს ინსტრუმენტული ანსამბლი „მაიაკი", 12.10 — საუბარი „მეცნიერული მიღწევები — სამთო მრეწველობას", 12.25 — მოცარტი. სიმფონიური სოლ-მინორი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.20 — მსუბუქი მუსიკა, 13.40 — ქართველ კომპოზიტორთა სავიოლონჩელო პიესები ი. ჭეიშვილის შესრულებით, 17.35 — მოსწავლეთათვის. რადიონარკვევი „მექვსერაზმელები", 18.10 — რ. ლაღიძე. სიმღერები, 18.45 — შოპენი. საფორტეპიანო პიესები, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. ციკლი „ფილოსოფია". საუბარი „მა-

## ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

რქსისტულ-ლენინური მოძღვრება კლასებსა და სახელმწიფოზე" (გადაცემა მეორე), 19.20 — სიმღერები ჟ. ტატლიანის შესრულებით, 19.45 — მ. დავითაშვილი. საბალეტო სიუიტა „მზის ქორწილი", 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — მ. მუსორგსკი. ოპერა „ბორის გოდუნოვი" (მონტაჟი), 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 22.50 — მღერის გუნდი ჯ. მიტჩელის ხელმძღვანელობით, 23.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

**19 ᲛᲐᲠᲢᲘ**

11.15 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 17.30 — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელთათვის „ვ. ი. ლენინის წიგნი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — ჩვენი სახელოვანი წინაპრები", 18.45 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა", 19.10 — „გრამფირფიტების სალონში", 19.50 — საქართველოს ტელევიზიის ფერადი პროგრამა. „ვიცნობდეთ ჩვენს მხარეს, 20.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. საბჭოთა კავშირი-ფინეთი (გადმოცემა სტოკჰოლმიდან), 21.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა. 21.50 — ოსკარ უაილდი „დორიან გრეის პორტრეტი". სატელევიზიო სპექტაკლის პრემიერა. მეორე ნაწილი (გადმოცემა მოსკოვიდან).

### ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

**19 ᲛᲐᲠᲢᲘ**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამო — პასაკალია „ჰიმნი-ადამიანი", რომეო და ჯულიეტა — უვერტიურა ფანტაზია, მოხეტიალე კომედიანტები, ესპანური კაპრიჩიო. **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხანუმა. **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სიყვარული სახუმარო არ არის. **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე, **თოჯინების ქართული** — უცნაური მღვიმე (დღის 11 ს. და 1 ს.). **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — შაითან ხიხო (№ 27 აბონ. დღის 10 ს. და 30 წ., № 13 აბონ. დღის 4 ს.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-68, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 68443 უე 03194 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.